ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ-ის ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერალური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის დეკემბრის 16.	№ 21	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შინაარსი:

მუხ. 239. საბჭოთა არჩევნების კამპანიის აღნუსხვის ფორმებისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის ინფორმაციის მიწოდების წესის შესახებ.

„ 240. ამხ. ა. ი. კიულის ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარედ ამხ. ს. ფ. რედენსის დანიშვნის შესახებ.

„ 241. დებულება ა/კსფსრ-ში სამრეწველო მშენებლობის დროს წინასწარ გამაფრთხილებელი სანიტარულ-ტეხნიკური ზედამხედველობის შესახებ.

„ 242. დებულება ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ძირითადი დეფიციტიანი საშენი მასალის გამომრკვევი და განმანაწილებელი მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირის შესახებ.

„ 243. შრომის კანონთა კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.

„ 244. ა/კსფსრ ტერიტორიაზე ნარკოტიულ ნივთიერებათა წარმოებისა და ვაჭრობის მოწესრიგების ღონისძიების შესახებ.

„ 245. შრომის კანონთა კოდექსის 181 და 183 მუხლის შეცვლისა და დამატებისა და შრომის კანონთა კოდექსისათვის 186[1] მუხლის დამატების შესახებ.

„ 246. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამრეწველო საწარმოთა აგების დროს წინასწარ გამაფრთხილებელი სანიტარულ-ტეხნიკური ზედამხედველობის განხორციელების თაობაზე“ 35 №-ით გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის არსებული ინსტრუქციის გაუქმების შესახებ.

„ 247. სავაჭრო რეგისტრაციის განსაკუთრებული წესების შესახებ კოოპერატიულ ორგანიზაციათა და მათ კავშირისათვის და აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათათვის, რომელთა წესდებაც დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური ორგანოების მიერ.

„ 248. მებალღობის სფეროში განსახორციელებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათათვის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან განსაკუთრებული ფონდის დაარსების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ 249. ა/კსფსრ სოფლებში სკოლებისა და საავადმყოფოების ცეცხლისაგან საგალდებულო გადანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

„ 250. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების მიერ წარმოებული სამრეწველო მშენებლობის პროექტების დამტკიცების წესისათვის სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან დამტკიცებული დებულების ა/კსფსრ-ში შეფარდების წესების შესახებ.

„ 251. ა/კსფსრ-ში დაზღვევით გათვალისწინებული უბედური შემთხვევების წინასწარ თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათათვის (პრევენცია და რეპრესია) სახელმწიფო დაზღვევის მოგებიდან გადადებული ანარიცხების განაწილებისა და დახარჯვის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

„ 252. დებულება საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

239. საბჭოთა არჩევნების კამპანიის აღნუსხვის ფორმებისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის ინფორმაციის მიწოდების წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის დეკემბრის 5-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1927 წ. № 22, მუხ. 245) გასაუქმებლად და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წლის დეკემბრის 31-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1926 წ. № 17, მუხ. 806) დასამატებლად და შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საარჩევნო კამპანიის აღნუსხვის პირველადი ფორმები (1-ლი №-დან 11-მდე) დარჩეს წინანდელი სახით და უფლება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ აღნიშნულ ფორმებში ცვლილებანი და დამატებანი, ხოლო იმ ანგარიშით, რომ საერთოდ შესაძლებელი იქნეს საჯამო ფორმების (№ 16 და 17) შევსება პირველადი ფორმების მიხედვით.

2. 12, 13 და 15 №-ის ფორმები აგებულ იქნეს საჯამო ფორმის (№ 7, მმართველობის ორგანოები) პუნქტების მიხედვით.

3. 14 №-ის ფორმა აგებულ იქნეს 16-ის ფორმის მიხედვით.

4. 16 №-ის ფორმა დატოვებულ იქნეს, ხოლო ჯგუფს „პროფ. კავშირებში გაერთიანებულნი“ დაემატოს მე-5 პუნქტი: „უმუშევარნი, რომელნიც აღნუსხულ არიან შრომის ბირჟაზე“.

5. 16 და 17 №-ის ფორმებში მოსახლეობა ყველა გრაფაში უნდა გაიყოს მამაკაცებად და დედაკაცებად წილადით (მ/დ).

6. 16 და 17 №-ის ფორმის იმ ნაწილში, სადა აღნიშნულია—„საბჭოს პრეზიდიუმი, აღმასრულებელი კომიტეტი და საბჭოს თავმჯდომარე“—განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს „არჩეულია პირველად“-ის გრაფის შევსებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. 17 №-ის ფორმაში ამოშლილ იქნეს 14, 15, 16 და 17 პუნქტი—რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობის შედგენილობისა და ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტების შედგენილობის აღნუსხვა—და ეს აღნუსხვა წარმოებულ იქნეს ახალი ფორმის მიხედვით, რაც შემუშავებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების მიერ.

8. საბჭოების აღრიცხვა იმ ქალაქში, სადაც ქალაქის საბჭო არ არის, უნდა სწარმოებდეს 17 №-ის ფორმის მიხედვით, ცალკე, რისთვისაც, ნაცვლად გაუქმებული 14, 15, 16 და 17 პუნქტისა, შემოღებულ იქნეს ახალი პუნქტი—14 „სოფლის საბჭო (თემის საბჭო) იმ ქალაქისა, სადაც ქალაქის საბჭო არ არის“.

9. შემოღებულ იქნეს ახალი ფორმები № 20, 21, 22 და 23 საარჩევნო კამპანიაში ამომრჩეველთა აქტიურობის აღნუსხვისა და საბჭოდან უკან გაწვეულთა აღნუსხვისათვის.

10. წითელარმიელთა აღნუსხვა საარჩევნო კამპანიაში (საანგარიშო ნაწილი) გამორიცხულ იქნეს და გამოიყოს დამოუკიდებელ ფორმად № 24, რომელიც უნდა აწარმოონ წითელი არმიის წარმომადგენლებმა საარჩევნო კომისიაში და რომელსაც ჯამს გაუკეთებს კავკასიის წითელდროშიანი არმიის პოლიტიკური სამმართველო.

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კლმიტეტებს წარუდგინონ ხოლმე ფოსტით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ცნობები საანგარიშო კამპანიის მსვლელობის შესახებ ორ კვირაში ერთხელ,—დეკემბრის 1-დან დაწყებული,—20 და 21 №-ის ფორმების მიხედვით.

12. წინადადება მიეცეს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წარუდგინონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს 22 და 23 №-რის შევსებული ფორმები საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე—დეკემბრის 15-სათვის.

13. წინადადება მიეცეს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წარუდგინონ ხოლმე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ცნობები ქალაქად და სოფლად საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესახებ და იმავე დროს მიაწოდონ ინფორმაცია, ამასთანავე დართული ფორმის მიხედვით, საანგარიშო კამპანიის მსვლელობის შესახებ.

14. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წარუდგინონ ხოლმე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ორ კვირაში ერთხელ,—დაწყებული 1929 წლის იანვრის 1-დან,—ცნობები არჩევნების მსვლელობის შესახებ შემდეგი ფორმით:

ა) რაოდენობა იმ ერთეულებისა, რომელთა შესახებაც ცნობები იგზავნება;

ბ) ამომრჩეველთა რიცხვი მათში;

გ) კრებაზე გამოცხადებულთა რიცხვი და

დ) არჩეულთა რაოდენობა, მათ შორის: მუშა, ღარიბი და ამბოკარი, დედაკაცი, სრულიად საკავშირო კომუნისტური (ბ) პარტიის და ახალგაზრდათა კომკავშირის წევრი.

15. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წარუდგინონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს არჩევნების შედეგების საერთო საინფორმაციო ანგარიში 19 №-ის ფორმის მიხედვით (ა/კსფსრ კანონ. კრებ. 1926 წ. № 17, მუხ. 806)—1929 წლის აპრილის 1-სათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. ნოემბრის 19.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 277 №-ში 1928 წ. დეკემბრის 1-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

240. ამხ. ა. ი. კაულის ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარედ ამხ. ს. ფ. რედენსის დანიშვნის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. რადგანაც ამხ. ალექსანდრე იოსების ძე კაული გაწვეულია გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში, ამხ. ა. ი. კაული განთავისუფლებულ იქნეს ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

2. ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხ. სტანისლავ ფრანცის ძე რედენსი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1926 წ. დეკემბრის 1.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 278 №-ში 1928 წ. დეკემბრის 2-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 73 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

241. ა/კსფსრ-ში სამრეწველო მშენებლობის დროს წინასწარ გამაფრთხილებელი სანიტარულ-ტექნიკური ზედამხედველობის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება ა/კსფსრ-ში სამრეწველო მშენებლობის დროს წინასწარ გამაფრთხილებელი სანიტარულ-ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ.

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის აგვისტოს 26 თარიღისა და 35 №-ის დადგენილება (ა/კსფსრ კან. კრებ. 1926 წ. № 10, მუხ. 715) „სამრეწველო საწარმოთა აგების დროს წინასწარ გამაფრთხილებელი სანიტარულ-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების შესახებ“ გაუქმებულ იქნეს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს — გააუქმოს მის მიერ ზემოაღნიშნული 35 №-ის დადგენილების განხორციელებისათვის გამოცემული ინსტრუქციების მოქმედება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წლის ნოემბრის 1.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ-ში სამრეწველო მშენებლობის დროს წინასწარ გამაფრთხილებელი სანიტარულ-ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. ამა დებულების მოქმედება გავრცელდება ა/კსფსრ-ში წარმოებული ყველა სახის სამრეწველო მშენებლობაზე, გარდა ტრანსპორტის სამრეწველო მშენებლობისა და სამხედრო მრეწველობის მთავარი სამმართველოს სამრეწველო მშენებლობისა.

2. თვითეული პროექტი ა/კსფსრ სამრეწველო მშენებლობის საქმეში, ვიდრე იგი დამტკიცებულ იქნებოდეს, უშიშროების ტეხნიკისა, შრომის ჰიგიენისა და საერთო სანიტარიის მხრით შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. სამრეწველო მშენებლობად ჩაითვლება ახალი წარმოებითი საწარმოს აგება, არსებული საწარმოს გაწყობა, ან მისი გაწყობილობის ახალი გაწყობილობით შეცვლა, ამ საწარმოს კაპიტალური რემონტი, და აგრეთვე დამხმარე ნაგებობის აშენება და საბინაო და კომუნალური მშენებლობა, რაც მომსახურეობას გაუწევს სამრეწველო საწარმოს და რაც განხორციელდება მის ტერიტორიაზე ან იმ ტერიტორიაზე, რომელიც საწარმოს ამ მიზნისათვის მიეცემა.

3. ხსენებული შეთანხმება მოხდება ქვემოაღნიშნული წესისამებრ იმავე დროს, როდესაც მშენებლობის ტეხნიკური მოწესრიგების ორგანოები (სამშენებლო კონტროლის ორგანები) პროექტს განიხილავენ.

II. სამრეწველო მშენებლობის პროექტები, როდესაც სამუშაოთა ღირებულება 50.000 მანეთამდეა.

4. სამრეწველო მშენებლობის პროექტები, როდესაც სამუშაოთა ღირებულება 50.000 მანეთამდეა, უშიშროების ტეხნიკისა, შრომის ჰიგიენისა და საერთო სანიტარიის მხრით შეთანხმებულ უნდა იქნეს იმავე დროს, როცა ეს პროექტები განიხილება სამშენებლო კონტროლის ადგილობრივ ორგანოში ან იმ ორგანოში, რომელიც მის ფუნქციას დროებით ასრულებს (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებანი, მაზრის ინჟენერი და სხვ.).

5. სამშენებლო კონტროლის ადგილობრივი ორგანო პროექტის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვევს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილებისა და შრომის ადგილობრივი ინსპექციის წარმომადგენლებს.

შენიშვნა. აღნიშნულ წარმომადგენლებს სამშენებლო კონტროლის ადგილობრივი ორგანოს თათბირში აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება მხოლოდ იმ საკითხების განხილვის დროს, რაც მათ კომპეტენციას შეეხება.

6. სამშენებლო კონტროლის ადგილობრივი ორგანო გაუგზავნის გასაცნობად პროექტის ერთ ცალს შრომის ადგილობრივ ინსპექტორს, ხოლო მეორე ცალს, რომელიც შვიდი დღის განმავლობაში დაბრუნებულ უნდა იქნეს, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილებას.

მოთხოვნა დამატებითი საპროექტო მასალის წარდგენის შესახებ შრომის ინსპექციისა და ჯანმრთელობის განყოფილების მიერ განცხადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი კვირისა.

რათა პროექტის განსახილველად შეერთებული სხდომა დაინიშნოს უფრო ადრე, ვიდრე სამშენებლო კონტროლის ადგილობრივი ორგანოსათვის გასაცნობად პროექტის გაგზავნის შემდეგ ორი კვირა გავიდოდეს, საჭიროა შრომის ინსპექციის თანხმობა.

შრომის ინსპექცია და ჯანმრთელობის განყოფილება ან მიიღებენ მონაწილეობას პროექტის ერთად განხილვაში, ან და წარუდგენენ მშენებლობის მოწეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგების ადგილობრივ ორგანოს თავის დასკვნას არა უგვიანეს, ვიდრე სხდომისათვის. სხდომაზე გამოუცხადებლობა და დანიშნულ ვადაზე დასკვნის წარუდგენლობა ჩაითვლება ისე, რომ საწინააღმდეგო აზრი არ არსებობს.

შენიშვნა 1. იმ რაიონებისათვის, სადაც ადგილობრივ სპეციალური სახის ინსპექცია არ არის, ამა მუხლში აღნიშნული ვადა გადიდდება ათ დღემდე და სამ კვირამდე.

შენიშვნა 2. გაგზავნილი ცალი პროექტისა დარჩება შრომის ინსპექციასთან ზედამხედველობის მიზნით.

7. უკეთუ პროექტის განხილვის დროს უშიშროების ტეხნიკისა, შრომის ჰიგიენისა და საერთო სანიტარიის საკითხების გამო შეუთანხმებლობა წარმოიშვა, —საკითხი გადასაწყვეტად რესპუბლიკის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში შეიტანება იმ წესით, რაც დადგენილია სამრეწველო მშენებლობის პროექტების განსახილველად, როდესაც სამუშაოთა ღირებულება 50.000 მან. აღემატება.

III. სამრეწველო მშენებლობის პროექტები, როდესაც სამუშაოთა ღირებულება 50.000 მანეთს აღემატება.

8. სამრეწველო მშენებლობის პროექტები, როდესაც სამუშაოთა ღირებულება 50.000 მანეთს აღემატება, უშიშროების ტეხნიკისა, შრომის ჰიგიენისა და საერთო სანიტარიის მხრით შეთანხმებულ უნდა იქნეს იმავე დროს, როცა, ეს პროექტები განიხილება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებთან არსებულ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში.

9. სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი პროექტის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვევს სათანადო რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებს.

შენიშვნა. სახალხო კომისარიატების წარმომადგენლებს, რომელნიც მონაწილეობას იღებენ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის სხდომაში, აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება მხოლოდ იმ საკითხების განხილვის დროს, რაც სათანადო სახალხო კომისარიატს შეეხება.

10. სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი გაუგზავნის დასკვნისათვის პროექტის ერთ ცალს შრომის სახალხო კომისარიატს, ხოლო მეორე ცალს, რომელიც დაბრუნებულ უნდა იქნეს შვიდი დღის განავლობაში,—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს.

მოთხოვნა დამატებითი საპროექტო მასალის წარდგენის შესახებ შრომის სახალხო კომისარიატისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ განცხადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი კვირისა.

შრომისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები,—არა უგვიანეს ორი კვირისა მათთვის საპროექტო მასალის გაგზავნის შემდეგ,—წარუდგენენ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს თავის დასკვნას და შემდგომ მონაწილეობას მიიღებენ, თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის სხდომაში პროექტის განხილვის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა პროექტის განსახილველად შეერთებული სხდომა დაინიშნოს უფრო ადრე, ვიდრე პროექტის გასაცნობად გაგზავნის შემდეგ ორი კვირა გავიდოდეს,—სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს უნდა ჰქონდეს შრომის კომისარიატის თანხმობა.

სხდომაზე გამოუცხადებლობა და დანიშნულ ვადაზე დასკვნის წარუდგენლობა ჩაითვლება ისე, რომ საწინააღმდეგო აზრი არ არსებობს.

შენიშვნა. გაგზავნილი ცალი პროექტისა გადაეგზავნება შრომის ადგილობრივ ინსპექციას ზედამხედველობისათვის.

11. უკეთუ ისეთი პროექტის განხილვის დროს, რომლის მიხედვითაც სამუშაოთა ღირებულება არ აღემატება შრომისა და თავდაცვის საბჭოს ცალკე დადგენილებით დაწესებულ ლიმიტებს, რესპუბლიკის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში წარმოიშვა შეუთანხმებლობა უშიშროების ტეხნიკისა, შრომის ჰიგიენისა და საერთო სანიტარიის გამო,—ეს საკითხები გადასაწყვეტად გადაეცემა სათანადო რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოს.

12. უკეთუ ამგვარი შეუთანხმებლობა წარმოიშვა ისეთი პროექტის განხილვის დროს, რომლის მიხედვითაც სამუშაოთა ღირებულება აღემატება შრომისა და თავდაცვის საბჭოს ცალკე დადგენილებით დაწესებულ ლიმიტებს, საკითხი გადაეცემა ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტს და მის განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და სათანადო რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელნი. ამასთანავე, ხსენებულ წარმომადგენლებს უნდა მიეცეს შესაძლებლობა—წინასწარ გაეცნონ საპროექტო მასალას.

ხოლო, თუ შეთანხმება აქაც ვერ იქნა მიღწეული,—საკითხი საბოლოო გადასაწყვეტად შეიტანება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

IV. შემოწმება ამუშავებამდე.

13. ახლად აგებული საწარმოს ექსპლოატაცია შეიძლება დაწყებულ იქნეს მხოლოდ მუშაობის დამთავრების შემდეგ და შემოწმების აქტის საფუძველზე, რომელ შემოწმებასაც მოახდენს ცალკე კომისია სამშენებლო კონტროლის ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენლის თავმჯდომარეობით და ჯანმრთელობისა, შრომის სახალხო კომისარიატისა და სათანადო პროფ. კავშირ. ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

შენიშვნა 1. უკეთუ ორი კვირის განმავლობაში, დღიდან შეტყობინების გაგზავნისა, შემოწმება არ მოხდა, ადმინისტრაციას ნება ეძლევა აამუშაოს საწარმო თავისი პასუხისმგებლობით; ხოლო შეუმოწმებლად ამუშავება არ გაანთავისუფლებს საწარმოს ადმინისტრაციას იმ მოვალეობისაგან, რომ შემდგომ აღმოჩენილი ნაკლი თავიდან აცილებულ იქნეს.

შენიშვნა 2. ამა მუხლის წესების დარღვევისათვის დამნაშავე მიიცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესისამებრ.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 279 №-ში 1928 წ. დეკემბრის 4-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 78 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

242. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ძირითადი დეფიციტიანი საშენი მასალის გამომრკვევი და განმანაწილებელი მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ძირითადი დეფიციტიანი საშენი მასალის გამომრკვევი და განმანაწილებელი მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. ნოემბრის 15.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ძირითადი დეფიციტიანი საშენი მასალის გამომრკვევი და განმანაწილებელი მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირის შესახებ.

1. ძირითადი დეფიციტიანი საშენი მასალის (ცემენტი, ხარისხიანი და სახურავი რკინა, რკინის კოჟი, შველერი, საგორავი, ხე-ტყის მასალა, საფანჯრე მინა, ზეთი, საშენი აგური, ცეცხლმძლე აგური და ალებასტრი) საჭიროებისა და მარაგის გამოსარკვევად, ამ მასალის განაწილების მიზნით—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებობს მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირი.

2. თათბირის შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი, სამი წევრი—თითო ა/კსფსრ შემდეგი სახალხო კომისარიატებისაგან: ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სამმართველოს და სსრ კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სამმართველოსაგან, ერთი წევრი—ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტისგან, ერთიც—ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოსაგან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითო წევრი—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირებისაგან.

შენიშვნა. თათბირის შედგენილობიდან გამოსულ წევრთა ან დროებით წასულ წევრთა შესაცვლელად იგივე დაწესებულებანი დანიშნავენ კანდიდატებს—თვითეული თითოს.

3. თათბირს დაეკისრება:

ა) გამოარკვიოს როგორც ადგილობრივი, ისე შემოზიდული ძირითადი საშენი მასალის ფონდები ა/კსფსრ-ში;

ბ) გამოარკვიოს მოთხოვნილება საშენი მასალისა:

1) რაც საჭიროა ა/კსფსრ უწყებათა გეგმიანი მშენებლობისათვის;

2) რაც საჭიროა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გეგმიანი და გეგმის-გარეშე მშენებლობისათვის;

ბ) გაანაწილოს როგორც ადგილობრივი, ისე შემოზიდული დეფიციტიანი საშენი მასალის ფონდები ა/კსფსრ უწყებებსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის ისე, რომ ამ უკანასკნელთავის დანიშნული კონტინგენტი განაწილებულ იქნეს საგეგმო და გეგმის-გარეშე მშენებლობათა შორის.

4. თათბირის მიერ განსახილველი საკითხები გადასწყდება ხმის მარტივი უმეტესობით.

თათბირის გადაწყვეტილება, რომლის გამოც განსაკუთრებული აზრი არ არის განცხადებული, დაუყოვნებლივ განხორციელდება თათბირში მონაწილე დაწესებულებათა მიერ.

თათბირის გადაწყვეტილება შეიძლება გაპროტესტებულ იქნეს თათბირში მონაწილე დაწესებულების მიერ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში—სამი დღის ვადაზე.

5. მუდმივ საუწყებათაშორისო თათბირს თავისი აპარატი არა ჰყავს და იგი გამოიყენებს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის აპარატს.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 280 №-ში 1928 წ. დეკემბრის 5-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

243. შრომის კანონთა კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამომრიგებლო-სამედიატორო და სასამართლო წესით შრომის კონფლიქტების განხილვის წესების დამტკიცების შესახებ“ 1928 წლის აგვისტოს 29-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრ კავშირის კან. კრ 1928 წ. № 56, მუხ. 494) საფუძველზე—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. შრომის კანონთა კოდექსის 49 მუხლიდან ამოიშალოს შემდეგი სიტყვები:

„უკეთუ მეწარმე კავშირის მოთხოვნას არ დაეთანხმება, ეს უკანასკნელი შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს საკონფლიქტო წესით“.

2. შრომის კანონთა კოდექსის 93[1] მუხლი (ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. იანვრის 30-ის დადგენილება; ა/კსფსრ კან. კრებ. 1928 წ. № 3, მუხ. 28) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„93[1]. საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიაში კონფლიქტის განხილვის შესახებ განცხადების შესატანად დაწესებულია შემდეგი ვადები:

ა) დათხოვნის საკითხების გამო—14 დღე; ბ) ზედმეტი მუშაობისათვის სასყიდლის მიცემის საკითხების გამო—1 თვე; გ) ყველა სხვა საკითხის გამო—3 თვე.

ზემოაღნიშნული ვადები იანგარიშება: ა) მოვალეობის შეუსრულებლობის გამო დათხოვნის საქმისათვის—იმ დარღვევის ჩადენის მომენტიდან, რაც დათხოვნის საკითხის აღძვრის საბაბს იძლევა; ბ) ყველა სხვა შემთხვევაში დათხოვნის საქმისათვის—სათანადო მოთხოვნის წარდგენის უფლების წარმოშობის დღიდან“.

3. შრომის კანონთა კოდექსს დაემატოს 93[2] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„93[2]. შრომის სესიაში კონფლიქტის განხილვის შესახებ განცხადების შესატანად დაწესებულია შემდეგი ვადები: ა) დათხოვნის საქმის გამო და აგრეთვე ისეთი საქმის გამო, როდესაც კონფლიქტი აუცილებლად საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიას უნდა განეხილა, ხოლო ამ კომისიაში განხილვის დროს ვერ გადაწყდა, ან როდესაც საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიის გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა შრომის ორგანოების მიერ ზედამხედველობის წესით,—14 დღე; ბ) ყველა სხვა შემთხვევაში—3 თვე.

ზემოაღნიშნული ვადები იანგარიშება: ა) დათხოვნის საქმისათვის, რომელიც საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიაში განხილული არ ყოფილა—მომუშავესათვის ანგარიშის წარდგენის დღიდან; ბ) დათხოვნის საქმისათვის, რაც საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიაში განხილვის დროს გადაუწყვეტელი დარჩა, და ყველა სხვა საქმისათვის, რომელიც საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიაში განხილვის დროს გადაუწყვეტელი დარჩა—დღიდან იმის შეტყობინებისა, რომ გადაწყვეტილება გამოტანილ არ იქნა; გ) ყველა იმ საქმისათვის, რომლის შესახებაც საკონფლიქტო-შემფასებელმა კომისიამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რაც ზედამხედველობის წესით გაუქმებულ იქნა,—დღიდან იმის შეტყობინებისა, რომ საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიის გადაწყვეტილება გაუქმებულია“.

4. შრომის კანონთა კოდექსის 160 მუხლის მეორე ნაწილი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუშა-მოსამსახურეთა კომიტეტის (საქარხნო-საფაბრიკო, სამადნო, სამშენებლო, ადგილობრივი და სხვ.) წევრისა და აგრეთვე საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიის მუშა-ნაწილის დათხოვნა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სათანადო პროფესიონალური (წარმოებითი) კავშირის თანხმობით, იმის გარდა, რომ ამასთანავე დაცულ იქნება შრომის ხელშეკრულების მოსპობისა და მოშლის შესახებ არსებული საერთო წესები (მუხ. 44 და 47),“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. შრომის კანონთა კოდექსის 169 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** სახალხო სასამართლოს შრომის სესიას არ ექვემდებარება განსახილველად მომუშავის დათხოვნისა და მისი თანამდებობაზე აღდგენის საქმე, რომელიც გათვალისწინებულია შრომის კანონთა კოდექსის 172² მუხლის „ბ“ პუნქტში“.

6. შრომის კანონთა კოდექსის 172 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„172. საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) დაამტკიცოს იმ შემთხვევაში და იმ ფარგლებში, რაც კოლექტიური ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულია, ნამუშევარის ნორმები, ნაჭრობითი შეფასება და სამუშაოთა და თანამდებობათა სატარიფო კატეგორიების მიხედვით განაწილება; დააწესოს წუნდადებული ნამუშევარის ნორმალური პროცენტი, გამოცდისა, სინჯისა და შრომის სხვა პირობების ფორმები და აგრეთვე გადასწყვიტოს ის საკითხები, რაც კანონით ან კოლექტიური ხელშეკრულებით სპეციალურად საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიის გამგებლობის საგანს მიეკუთვნება;

ბ) გადასწყვიტოს ყველა კონფლიქტი, რაც მომუშავესა და დამქირავებელს შორის აღიძვრის შრომის კანონებისა, კოლექტიური და შრომის ხელშეკრულებისა და შინა განრიგების წესების შეფარდების დროს.

შენიშვნა. საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიას უფლება არა აქვს გამოიტანოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შესცვლის, შეავსებს ან გააუქმებს კოლექტიური ხელშეკრულების პირობებს, უკეთუ ასეთი უფლება კოლექტიურ ხელშეკრულებაში სპეციალურად აღნიშნული არ არის“.

7. შრომის კანონთა კოდექსს დაემატოს 172¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

“172¹. საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიაში, როგორც ძირითად საპირველადო ინსტანციაში, სავალდებულოა განხილვა კონფლიქტებისა შემდეგი საკითხების შესახებ: ა) სხვა სამუშაოზე გადაყვანა და ამასთან დაკავშირებული შენარჩუნება ხელფასისა ან მიცემა გასასვლელი დახმარებისა; ბ) სასყიდლის გაცემა, როდესაც ნორმა სრულად შესრულებული არ არის; გ) დათხოვნა უვარგისობისა და მოვალეობის შეუსრულებლობის გამო; დ) კომპენსაციის მიცემა იმ იარაღის გამოყენებისათვის, რომელიც მომუშავეს ეკუთვნის; ე) მიცემა სპეციალური ტანსაცმლისა და სპეციალური საკვებისა, ხოლო სათანადო შემთხვევაში — მათ ნაცვლად ფულადი კომპენსაციისა; ვ) შემცირებული სამუშაო დღისა და გადიდებული შვებულების შეფარდება; ზ) მენაცვლეობის დროს სხვადასხვა კვალიფიკაციის სამუშაოთა შესრულებისათვის სასყიდლის მიცემა; თ) მოცდენისათვის სასყიდლის მიცემა; ი) ნაჭრობით მუშაობის სამზადისისათვის სასყიდლის მიცემა; კ) დაუმთავრებელი ნაჭრობითი სამუშაოსათვის სასყიდლის მიცემა; ლ) მასალისა, ხელსაწყოს და ნაკეთობის გაფუჭების გამო ხელფასის დაკლება და წუნდადებული ნამუშევარისათვის სასყიდლის მიცემა; მ) სამუშაოდან გადაყენების დროის განმავლობაში სასყიდლის მიცემა; ნ) ფულადი კომპენსაციის მიცემა შვებულების მიუცემლობისათვის; ო) გამოცდის დროის განმავლობაში მისაცემი სასყიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის რაოდენობა; პ) პრემიის რაოდენობა, რაც მომუშავეს ერგება; ჟ) ზედმეტი მუშაობისათვის სასყიდლის მიცემა; რ) გასასვლელი დახმარების მიცემა, როდესაც მომუშავე მოშლის შრომის ხელშეკრულებას დამქირავებლის მიზეზით.

შენიშვნა. იმ კონფლიქტების რიცხვს, რომელთა განხილვაც უსათუოდ უნდა მოხდეს საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიაში, როგორც ძირითად საპირველადო ინსტანციაში, გარდა ამა მუხლში გათვალისწინებულისა, შეიძლება მიეკუთვნოს სხვა კონფლიქტებიც, რომლის გადაწყვეტაც მოითხოვს უახლოესი გარემოებისა და კონფლიქტების პირობებისა და აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების თუ ორგანიზაციის მუშაობის თავისებურობის ანგარიშში მაღებას.

აღნიშნულ მიკუთვნებას დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიმართ მოახდენს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ამერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებთან შეთანხმებით.

ყველა სხვა კონფლიქტების გამო, გარდა ამა მუხლში გათვალისწინებულისა, მომუშავეს შეუძლიან მიმართოს, თავისივე არჩევით, ან საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიას ან სახალხო სასამართლოს შრომის სესიას“.

8. შრომის კანონთა კოდექსს დაემატოს 172² მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„72². საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიის გამგებლობას არ ექვემდებარება: ა) საქმე პროფესიონალურ კავშირის მოთხოვნით (მუხ. 49) მომუშავესთან შრომის ხელშეკრულების მოშლის შესახებ; ბ) საკითხი იმ თანამდებობრივი ჯამაგირების შეცვლისა, რაც დადგენილია სამუშაო ხელფასის სახელმწიფო დანორმვისა და შტატის შეცვლის წესისამებრ; გ) კონფლიქტი მომუშავესა და დამქირავებელს შორის, რაც აღიძვრის საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და განაწილებისა, მომუშავის ყოფა-ცხოვრების საჭიროებათა დაკმაყოფილებისა და სხვ. ნიადაგზე, და რაც კოლექტიური და შრომის ხელშეკრულების ვალდებულებიდან არ გამომდინარეობს; დ) შრომის საქმე, რაც გადაწყვეტილია სახალხო სასამართლოს შრომის სესიისა, სამომრიგებლო კამერისა ან სამედიატორო სასამართლოს მიერ და აგრეთვე შრომის საქმე, რომელიც ამ ორგანოებს განსახილველად აქვთ; ე) საქმე დისციპლინარული გადასახდელის შესახებ ხელქვეითობის წესისამებრ; ვ) საქმე იმ მომუშავის დათხოვნისა და თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, რომელსაც აქვს დაქირავებისა და დათხოვნის უფლება, ყველა საწარმოში და დაწესებულებაში (მათ შორის—კერძოშიაც), და აგრეთვე იმავე ხასიათის საქმე სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოს და დაწესებულების პასუხისმგებელ მომუშავეთა სხვა კატეგორიების მიმართ, რომელთა ნუსხასაც ა/კსფსრ-ში დაიწესებს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ამერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

შენიშვნა. საკითხი ამა მუხლის „ვ“ პუნქტში აღნიშნულ მომუშავეთა თანამდებობაზე აღდგენის შესახებ განიხილება მარტოოდენ ზემდგომ,—ხელქვეითობის წესისამებრ,—ორგანოთა და პირთა მიერ“.

9. შრომის კანონთა კოდექსის 173 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„173. საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიისა, სამომრიგებლო კამერისა და სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და იგი ვისმე მიერ დამტკიცებას არ საჭიროებს.

აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ შრომის ორგანოების მიერ ზედამხედველობის წესით“.

10. შრომის კანონთა კოდექსის 174 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„174. უკეთუ დამქირავებელი არ შეასრულებს საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიისა, სამომრიგებლო კამერისა და სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც დამქირავებელს მომუშავის ან პროფესიონალური კავშირის სასარგებლოდ მისჯილი აქვს განსაზღვრული ფულადი თანხის გადახდა,— აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულებულ იქნება იძულებითი წესისამებრ შრომის ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის მიხედვით, რომელსაც აღსრულების ფურცლის ძალა აქვს.

ამ შემთხვევაში შრომის ორგანოები იმავე დროს გადასწყვეტენ საკითხს დამქირავებელის სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემის შესახებ“.

11. შრომის კანონთა კოდექსს დაემატოს 174[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„174[1]. უკეთუ დამქირავებელი არ შეასრულებს საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიისა, სამომრიგებლო კამერისა ან სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელშიაც თანხა, რაც მომუშავეს ან პროფესიონალურ კავშირს ერგება, ზედმიწევნით განსაზღვრული არ არის, ამ თანხას განსაზღვრავს შრომის სესსია აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, რის შემდეგაც გადაწყვეტილება აღსრულებული იქნება იძულებითი წესისამებრ—შრომის სესიის მიერ გაცემული აღსრულების ფურცლით“.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1928 წ. ნოემბრის 20. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 282 №-ში 1928 წ. დეკემბრის 7-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

244. ა/კსფსრ ტერიტორიაზე ნარკოტიულ ნივთიერებათა წარმოებისა და ვაჭრობის მოწესრიგების ღონისძიების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ნარკოტიულ ნივთიერებათა ვაჭრობის მოწესრიგების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონისძიების შესახებ 1928 წლის მაისის 23-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრ კავშირის კან. კრებ. 1928 წ. № 33, მუხ, 290) საფუძველზე —ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ნარკოტიული პრეპარატების (ოპიუმი და მისი ნაწარმოები, მორფიუმი, გეროინი, დიონინი და მისი მარილები, ჰაშიში, კოკაინი და მისი მარილები და პანტაპონი) აფთიაქის გარეშე გაყიდვა ა/კსფსრ ტერიტორიაზე ნებადართულია მხოლოდ სახელმწიფო საწარმოში, რომელსაც აქვს უფლება მედიკამენტების ბითუმად ვაჭრობისა.

2. ამ პრეპარატების ბითუმად გაცემა შეიძლება მხოლოდ ჯანმრთელობის განყოფილებათა და სააფთიაქო სამმართველოთა მოთხოვნით და აგრეთვე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საველერინარო მომარაგების საწყობისა და მისი ფილიალის მოთხოვნით; ყველა დანარჩენ მედიკურ-სანიტარულ, ფარმაცევტულ, სამეცნიერო-პრაქტიკულ და სხვ. დაწესებულებებს აღნიშნული პრეპარატები ბითუმად მიეცემა მათი მოთხოვნით, უკეთუ ეს მოთხოვნა დადასტურებულია ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ან ჯანმრთელობის სათანადო განყოფილების მიერ.

შენიშვნა. ნარკოტიული პრეპარატების ყველა მოთხოვნა და მისი დადასტურება ხელმოწერილ უნდა იქნეს დაწესებულების პასუხისმგებელი ხელმძღვანელის მიერ და უნდა იყოს ბეჭედ-დასმული.

3. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული პრეპარატები სააფთიაქო სამმართველოს საწყობიდან შეიძლება მიეცეს სათანადო მოთხოვნით მხოლოდ სამმართველოს ქვემდებარე აფთიაქს და იმ სამკურნალო დაწესებულებას, რომლის მომარაგებასაც სამმართველო ეწევა; ამასთანავე მოთხოვნას ხელს უნდა აწერდეს აფთიაქისათვის—მისი მმართველი, ხოლო სამკურნალო დაწესებულებისათვის—ის პირი, რომელიც ამ დაწესებულების სათავეში სდგას.

4. ნარკოტიულ პრეპარატებს საველერინარო საჭიროებისათვის გასცემენ სააფთიაქო სამმართველოები, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საველერინარო საწყობები და მათი ფილიალები სათანადო მოთხოვნით, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს რაიონის ან მაზრის ვეტერინარი-ექიმისა და ზემდგომი საველერინარო ორგანოს მიერ—კუთვნილებისამებრ.

5. ნარკოტიული პრეპარატების წარმოება ა/კსფსრ ტერიტორიაზე შეიძლება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების ნებართვით და არსებული წესების დაცვით.

6. ყველა წარმოებითი საწარმო, რომელიც ნარკოტიულ პრეპერატებს ამზადებს, წარუდგენს ცნობებს მათ შესახებ,—თვითეული პრეპერატისათვის ცალკე,—სათანადო რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ყოველწლიურად გასული წლისთვის, არა უგვიანეს ნოემბრის 1-სა; თანაც საწარმომ უნდა აღნიშნოს ამ პრეპარატების ნაშთი საანგარიშო წლის ოქტომბრის 1-სათვის, პროდუქცია და ხარჯი წლის განმავლობაში და აგრეთვე ნაშთი ახალი საოპერაციო წლის ოქტომბრის 1-სათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს წინადადება ეძლევა გამოსცენ ინსტრუქცია ამა დადგენილების განსავითარებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. ნოემბრის 10.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 283 №-ში 1928 წ. დეკემბრის 8-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

245. შრომის კანონთა კოდექსის 181 და 183 მუხლის შეცვლისა და დამატებისა და შრომის კანონთა კოდექსისათვის 186[1] მუხლის დამატების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სოციალურ დაზღვევის ორგანოებისაგან გასაცემი დახმარების დროებითი დებულების მე-4, 5 და 10 მუხლის შეცვლის შესახებ" 1928 წლის ივნისის 13-ის თარიღით გამოცემული დადგენილების („სსრ კავშირის ცენტ. აღმასრ. კომიტეტის იზვესტია"-ს 152 №-რი 1928 წ. ივლისის 3-ისა) შესასრულებლად და „შრომის კანონთა კოდექსის 176, 179, 181, 183, 184, 185 და 186 მუხლის შეცვლისა და დამატებისა, შრომის კანონთა კოდექსისათვის 184[1] მუხლის დამატებისა და ამავე კოდექსის 182 მუხლის გაუქმების შესახებ" 1928 წლის მარტის 26-ის თარიღით გამოცემული თავისი დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1928 წ. № 9, მუხ. 92) შესაცვლელად და დასამატებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. 181 მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები: „უკეთუ მათ აქვთ არა ნაკლებ, ვიდრე დაქირავებით მუშაობის 6 თვის სტაჟი."

2. 183 მუხლიდან სიტყვების: „დაქირავებით მომუშავე პირის ცოლს" შემდეგ ამოიშალოს სიტყვები: „უკეთუ ერთ-ერთ მშობელთაგანს აქვს არა ნაკლებ, ვიდრე 6 თვის დაქირავებით მუშაობის სტაჟი."

3. 186 მუხლიდან ამოიშალოს პუნქტი „ბ" შემდეგი შინაარსისა: "სათანადო შემთხვევაში (მუხ. 176 და 183) დაქირავებით მუშაობის სტაჟის გამოანგარიშების წესს."

4. შრომის კანონთა კოდექსს დაემატოს 186[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა: „სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ დაწესდება:

ა) მოთხოვნა დაქირავებით მუშაობის განსაზღვრული სტაჟისა—181 და 183 მუხლით გათვალისწინებული დახმარების მიღებისათვის, ხოლო არა უმეტეს 6 თვისა;

ბ) დროებით შრომის უნარდაკარგულობისათვის მისაცემი დახმარების მაქსიმალური რაოდენობა, ხოლო სოციალური დაზღვევის სახსარის ნაკლებობის დროს—ამ დახმარების რაოდენობის შემცირება, მაგრამ არა უმეტეს, ვიდრე საშოვრის $^1/_3$-ით როგორც ცალკე რაიონებში, ისე დაქირავებით მომუშავე პირთა ცალკე ჯგუფების მიმართ.“

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. ნოემბრის 10.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 283 №-ში 1928 დეკემბრის 8-ს.

ტფილისი

დადგენილება № 156 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928. წლის დეკემბრის 5.

246. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს „მიერ სამრეწველო საწარმოთა აგების დროს წინასწარ გამაფრთხილებელი სანიტარულ-ტეხნიკური ზედამხედველობის განხორციელების თაობაზე“ 1926 წლის აგვისტოს 26-ის თარიღითა და 35 №-ით გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის არსებული ინსტრუქციის მოქმედების გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ-ში სამრეწველო მშენებლობის დროს წინასწარ გამაფრთხილებელი სანიტარულ-ტეხნიკური ზედამხედველობის დებულების დამტკიცების შესახებ“ 1928 წლის ნოემბრის 1-ის თარიღითა და 73 №-ით გამოცემული დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 279 № 1928 წლის დეკემბრის 4-ისა) მე-3 მუხლის საფუძველზე—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამრეწველო საწარმოთა აგების დროს წინასწარ გამაფრთხილებული სანიტარულ-ტეხნიკური ზედამხედველობის შესახებ“ 1926 წლის აგვისტოს 26-ის თარიღით და

35 №-ით გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის არსებული ინსტრუქ-ციის („შრომის კანონმდებ. ვესტნ.“ 10-24 № 1925 წ.) მოქმედება გაუქმებულ იქნეს.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის
წევრი და შრომის დაცვის განყოფ. გამგე **შახსუვარიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 283 №-ში 1928 წ. დეკემბრის 8-ს.

დადგენილება № 81 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

247. სავაჭრო რეგისტრაციის განსაკუთრებული წესების შესახებ კოოპერარტიულ ორგანიზაციათა და მათ კავშირთათვის,—გარდა სამომხმარებლო საზოგადოებებისა და მათი კავშირებისა,—აგრეთვე იმ საააქციო საზოგადოებათათვის, რომელთა წესდებაც დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ცენტრალური ორგანოებისა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური ორგანოების მიერ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამომხმარებლო კოოპერაციაზე სავაჭრო რეგისტრაციის დებულების გავრცელების შესახებ“ 1929 წლის აგვისტოს 17-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრ კავშირის კან. კრებ. 1928 წ. № 53, მუხ. 478) საფუძველზე—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა კოოპერატიული ორგანიზაციები და მათი კავშირები, გარდა სამომხმარებლო საზოგადოებებისა და მათი კავშირებისა, გატარებულ უნდა იქნენ სავაჭრო რეგისტრაციაში შემდეგი წესით:

ა) ცნობები პირველი საფეხურის კოოპერატიული ორგანიზაციებისა და მათი სარაიონო შენაერთის შესახებ შეიტანება სავაჭრო რეესტრის მე-3 კარში.

ბ) ცნობები კოოპერატიული ორგანიზაციების რესპუბლიკანური კავშირის შესახებ შეიტანება სავაჭრო რეესტრის მეორე კარში.

შენიშვნა. სამომხმარებლო კოოპერატიულ საზოგადოებათა და მათ კავშირთა რეგისტრაცია სწარმოებს ცალკეული კანონის თანახმად.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული კოოპერატიული ორგანიზაციებისა და მათი კავშირების შესახებ სავაჭრო რეესტრში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ცნობები:

ა) რეესტრის ნომერი;

ბ) რეგისტრაციის თარიღი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) კოოპერატიული ორგანიზაციის საფირმო სახელწოდება;

დ) მომქმედების საგანი და რაიონი;

ე) შესაცელელი და საპაიო გადასახადის რაოდენობა;

ვ) წევრთა რაოდენობა;

ზ) რეგისტრაციაქმნილი კოოპერატიული ორგანიზაციის წევრთა დამატებითი პასუხისმგებლობის ოდენობა ამ ორგანიზაციის ვალდებულებისათვის;

თ) გამგეობის ყველა წევრის გვარი, სახელი და მამის სახელი;

ი) გამგეობის სამყოფელი ადგილი;

კ) სახელწოდება და სამყოფელი ადგილი ფილიალებისა და აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო და სხვა საწარმოსი, რაც რეგისტრაციაქმნილ კოოპერატიულ ორგანიზაციას ეკუთვნის;

ლ) ნებართვა განსაზღვრული სახის სავაჭრო ან სამრეწველო საწარმოს ან და სხვა სავაჭრო სარეწავის წარმოებისათვის, უკეთუ ამ ნებართვის საჭიროება კანონით სპეციალურად გათვალისწინებულია;

მ) სალიკვიდაციოდ მიქცევა და მოსპობა რეგისტრაციაქმნილი კოოპერატიული ორგანიზაციისა;

ნ) ცნობები კოოპერატიული ორგანიზაციის ან კავშირის წესდების გაფორმების შესახებ და, უკეთუ წესდება დამტკიცებას მოითხოვს, ცნობები იმის შესახებ, თუ როდის და ვის მიერ არის იგი დამტკიცებული; ცნობები წესდების შემდგომ ცვლილებითა შესახებ;

ო) დამფუძნებელთა სახელწოდება.

3. იმ სააქციო საზოგადოებას, რომლის წესდებაც დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ცენტრალური ორგანოების მიერ, სავაჭრო რეგისტრაცია გაუკეთდება სავაჭრო რეესტრის მეორე კარში, ხოლო იმ სააქციო საზოგადოებას, რომლის წესდებაც დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური ორგანოების მიერ, სავაჭრო რეგისტრაცია გაუკეთდება მისი გამგეობის სამყოფელი ადგილის მიხედვით სავაჭრო რეესტრის მესამე კარში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1928 წ. დეკემბრის 6. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 288 №-ში 1928 წ. დეკემბრის 14-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 82 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

248. მებაღეობის სფეროში განსახორციელებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათათვის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან განსაკუთრებული ფონდის დაარსების შესახებ.

მებაღეობის სფეროში აგრიკულტურულ ღონისძიებათა გაძლიერებისათვის და სახლიე-საკონსერვო მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან განსაკუთრებული ფონდი მებაღეობის სფეროში აგრიკულტურულ ღონისძიებათა განხორციელების საჭიროებისათვის.

2. აღნიშნული ფონდის წყაროდ დაწესებულ იქნეს სატონნო გამოსაღები, რაც გადაჰხდებათ სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებს და კოოპერაციას მათ მიერ დამზადებული მებაღეობის პროდუქციის რაოდენობის მიხედვით, ხოლო კერძო პირთ—რკინის გზითა, ზღვითა და მდინარით გაგზავნილი მებაღეობის პროდუქციის მიხედვით.

3. მებაღეობის პროდუქციის დაბეგვრა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ყველა რესპუბლიკისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით:

ა) კურკოვანი ჯიში—94 კაპ. ტონნაზე ან $1^1/_2$ კაპ. ფუთზე;

ბ) მარცვლოვანი ჯიში—1 მან. 22 კაპ. ტონნაზე ან 2 კაპ. ფუთზე;

გ) კაკალი, თხილი და წაბლი—3 მან. 05 კაპ. ტონნაზე ან 5 კაპ. ფუთზე;

დ) ხმილეული ჯიში—1 მან. 22 კაპ. ტონნაზე ან 2 კაპ. ფუთზე.

4. მებაღეობის პროდუქციის დაბეგვრით შექმნილი მთელი ფონდი გადადის რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების განკარგულებაში, რომელნიც დახარჯავენ მას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან და ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან შეთანხმებული და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

5. წინადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს განახორციელონ ეს დადგენილება და დაწესონ მისი სამოქმედოდ შემოღების ვადა და გამოსაღების გადახედვინებისა, სახსარის დახარჯვისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ ანგარიშის წარდგენის წესი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კამისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1928 წ. დეკემბრის 6. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 289 №-ში 1928 წ. დეკემბრის 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 80 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

249. ა/კსფსრ სოფლებში სკოლებისა და საავადმყოფოების ცეცხლისაგან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წლის აგვისტოს 16-ის შემდეგი დადგენილება „სოფლად სკოლებისა და საავადმყოფოების ცეცხლისაგან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრებ. 1928 წ. № 59, მუხ. 532).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

ტფილისი—სასახლე. 1928 წ. ოქტომბრის 30.

დადგენილება შრომისა და თავდაცვის საბჭოსი.

სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის დებულების (სსრ კავშირის კან. კრებ. 1928 წ. № 52, მუხ. 457) მე-11[1] მუხლის საფუძველზე შრომისა და თავდაცვის საბჭო ადგენს:

1. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი სასოფლო სკოლებისა და სავადმყოფოების შენობებისა, გაწყობილობისა და ინვენტარის ცეცხლისაგან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა შემოღებულ იქნეს იმ მოკავშირე რესპუბლიკების მთელს ტერიტორიაზე, რომელთა ეკონომიური საბჭოები (თათბირები) გამოსცემენ დადგენილებას აღნიშნული დაზღვევის განხორციელების შესახებ.

2. ეკონომიური საბჭოს (თათბირის) მიერ 1-ლ მუხლში გათვალისწინებული დადგენილების გამოცემის შემდეგ სკოლებისა და საავადმყოფოების სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა შემოიღება სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე ახალი საბიუჯეტო წლის დამდეგიდან.

3. სკოლებისა და საავადმყოფოების სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა სწარმოებს იმ ადგილობრივი საბჭოს ხარჯით, რომლის გამგებლობაშიაც სკოლა და საავადმყოფოა. ხარჯი ამ საჭიროებისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადგილობრივ ბიუჯეტში.

4. სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის პასუხისმგებლობა აღნიშნული სახის დაზღვევისათვის დაწესდება ყოველი წლის ოქტომბრის 1-დან, მიუხედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად სადასაზღვეო გადასახადის შემოსვლის დროისა (სადასაზღვეო შემთხვევამდე თუ მის შემდეგ), ხოლო არა უადრეს, ვიდრე სათანადო ადგილობრივი საბჭო წარუდგენდეს სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს ცნობებს დასაზღვევი ქონების შესახებ.

სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის პასუხისმგებლობა დაწესდება სრული შეფასებითი ღირებულების რაოდენობით, რომელ ღირებულებასაც განსაზღვრავენ სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები.

5. სკოლებისა და საავადმყოფოების ცეცხლისაგან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა სწარმოებს სადასაზღვეო პრემიათა ცალკე ტარიფისა და დაზღვევის ცალკე პირობების მიხედვით, რასაც განიხილავს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული სადასაზღვეო საბჭო და დაამტკიცებს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი. პრემიათა ტარიფი სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის მიერ გამოქვეყნდება „სსრ კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის იზვესტია-“ში.

6. დაზღვევის ხვედრი გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს დეკემბრის 1-დან 31-მდე ერთი წლისათვის წინდაწინ.

7. ვადაზე შეუტანელი სადასაზღვეო გადასახადი ჩაირიცხება ნარჩენად და გადახდევინებულ უნდა იქნეს სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მიერ ადმინისტრატიული (უდავო) წესით; ამასთანავე, გადახდევინება შეიძლება მიიქცეს ადგილობრივი საბჭოს ყოველგვარ ქონებაზე და შემოსავალზე და აგრეთვე ადგილობრივი საბჭოსათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გასხნილ კრედიტზე, გარდა იმ თანხისა, რაც დანიშნულია სამუშაო ხელფასის გასაცემად და სოციალური დაზღვევის გადასახიდის შესატანად. ნარჩენის გადახდევინების დროს დარიცხულ უნდა იქნეს საურავი 0,2% რაოდენობით თვითეული ვადაგადაცილებული დღისთვის.

8. უკეთუ ნარჩენი 6 თვის განმავლობაში გადახდილ არ იქნა, მის დასაფარავად საჭირო თანხა შეიტანება ზემდგომი ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის ადგილობრივი ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში სუბვენციისა და დოტაციის სახით და გადაერიცხება უშუალოდ სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევას.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ი. რუძუტაკი.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს
და შრომისა და თავდაცვის საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგ. **ი. მირონშნიკოვი.**

მოსკოვი—კოემლი. 1828 წ. აგვისტოს 16.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 285 №-ში 1928 წ. დეკემბრის 11-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 75 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

250. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების მიერ წარმოებული სამრეწველო მშენებლობის პროექტების დამტკიცების წესისათვის სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან დამტკიცებული დებულების ა/კსფსრ-ში შეფარდების წესების ბესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი წესები სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების მიერ წარმოებული სამრეწველო მშენებლობის პროექტების დამტკიცების წესისათვის სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისაგან დამტკიცებული დებულების ა/კსფსრ-ში შეფარდების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

ტფილისი—სასახლე. 1928 წ. ოქტომბრის 25.

წ ე ს ე ბ ი

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების მიერ წარმოებული სამრეწველო მშენებლობის პროექტების დამტკიცების წესისათვის სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან დამტკიცებული დებულების ა/კსფსრში შეფარდების შესახებ.

1. ამა წესებით დამყარებულია წესი ა/კსფსრ-ში იმ დებულების შეფარდებისა, რომელიც სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულია „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა, მათი ადგილობრივი ორგანოებისა და ქვემდებარე საწარმოთა და დაწესებულებათა მიერ წარმოებული სამრეწველო მშენებლობის პროექტების დამტკიცების წესის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრებ. 1927 წ. № 66, განყოფ. პირველი, მუხ. 672), და აგრეთვე წესი აღნიშნული პროექტების ა/კსფსრ ინსტანციებში მსვლელობისა.

საესკიზო პროექტები.

მშენებლობა, რომელსაც რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ანხორციელებს.

2. წესი იმ სამრეწველო მშენებლობის პროექტების განხილვისა, შეთანხმებისა და დამტკიცებისა, რასაც განახორციელებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მისი ქვემდებარე საწარმო და დაწესებულება, დამყარებულია ქვემოდ, 3-6 მუხლებში.

3. უკეთუ მე-2 მუხლში აღნიშნული მშენებლობის ღირებულება 50.000 მან. არ აღემატება, მაშინ:

ა) სათანადო ორგანო იმ სამრეწველო საწარმოსი, რომელსაც განზრახული აქვს სამშენებლო მუშაობის წარმოება, გაჰგზავნის პროექტს (სამ ცალად) შეთანხმებისათვის სამშენებლო კონტროლის ადგილობრივ ორგანოში, რომელიც განიხილავს პროექტს დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და ხანძრისაგან უშიშროების მხრით და აგრეთვე იმ მხრით, თუ რამდენად შეეფერება პროექტი ადგილობრივ პირობებსა და მშენებლობის დარგში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებებს;

ბ) სამშენებლო კონტროლის ადგილობრივი ორგანო განიხილავს პროექტს აგრეთვე უშიშროების ტეხნიკისა, შრომის ჰიგიენისა და საერთო სანიტარიის მხრით იმ წესისამებრ, რაც განსაზღვრულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ცალკე დადგენილებით—ა/კსფსრ-ში სამრეწველო საწარმოთა აგების დროს წინასწარ-გამფრთხილებელი სანიტარულ-ტეხნიკური ზედამხედველობის განხორციელების შესახებ;

გ) პროექტის განხილვისას სამშენებლო კონტროლის ადგილობრივი ორგანო დაუბრუნებს პროექტის ერთ ცალს, სათანადო წარწერით, იმ ორგანოს, რომელმაც პროექტი შეიტანა და რომელმაც წინადადება წარუდგინა, რომ სურს აწარმოოს სამშენებელო მუშაობა;

დ) ამგვარად შეთანხმებული პროექტების დამტკიცების წესი დამყარდება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკაბის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების დადგენილებით ამა წესების 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების მე-7 მუხლის თანახმად.

შენიშვნა. ვიდრე სამშენებლო კონტროლის ადგილობრივი ორგანოები მოეწყობოდეს, ამა მუხლში აღნიშნულ ფუნქციებს შეასრულებს ავტონომიური რესპუბლიკისა ან ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება.

4. უკეთუ მე-2 მუხლში აღნიშნული მშენებლობის ღირებულება 50.000 მან. აღემატება, ხოლო ვერ აღწევს იმ ლიმიტების რაოდენობას, რაც მრეწველობის ცალკე დარგებისათვის დაწესებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 ნოემბრის 25-ის დადგენილებით, მაშინ:

ა) რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათანადო ორგანო გაუგზავნის პროექტს სამ ცალად შეთანხმებისათვის რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს, რომელიც განიხილავს პროექტს დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და ხანძრისაგან უშიშროების მხრით და აგრეთვე იმ მხრით, თუ რამდენად შეეფარდება პროექტი ადგილობრივ პირობებსა და მშენებლობის დარგში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებებს;

ბ) ამავე დროს რესპუბლიკანური სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი განიხილავს პროექტს აგრეთვე უშიშრობის ტეხნიკისა, შრომის ჰიგიენისა და საერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიტარიის მხრით იმ წესისამებრ, რაც განსაზღვრულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ცალკე დადგენილებით ა/კსფსრ-ში სამრეწველო საწარმოთა აგების დროს წინასწარ-გამაფრთხილებელი სანიტარულ-ტეხნიკური ზედამხედველობის განხორციელების შესახებ;

გ) პროექტის განხილვისას რესპუბლიკანური სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი დაუბრუნებს პროექტის ერთ ცალს, სათანადო წარწერით, რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ორგანოს, რომელმაც პროექტი შეიტანა;

დ) ამგვარად შეთანხმებულ პროექტებს დაამტკიცებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

შენიშვნა. ასლი ყველა დასკვნისა, თათბირის ოქმისა და დამტკიცების წარწერისა ამა მუხლში აღნიშნული პროექტების შესახებ წარედგინება ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტს.

5. უკეთუ მე-2 მუხლში აღნიშნული მშენებლობის ღირებულება აღემატება შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1927 წლის ნოემბრის 25-ის დადგენილებით მრეწველობის ცალკე დარგებისათვის დაწესებულ ლიმიტებს, ხოლო 2.000.000 მანეთამდე არ აღის, მაშინ:

ა) რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო გაჰგზავნის პროექტს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-სატეხნიკო სამმართველოში პროექტის ტეხნოლოგიური ნაწილის ექსპერტიზისათვის, ამა წესების 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების მე-5 მუხლის თანახმად;

ბ) ამასთან დამოუკიდებლად, რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო გაჰგზავნის პროექტის სამ ცალს შესათანხმებლად რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში, რომელიც განიხილავს პროექტს იმ წესით, რაც აღნიშნულია ამ წესების მე-4 მუხლის „ა“ და „ბ“ ლიტერში;

გ) პროექტის განხილვისას ერთი ცალი დაებრუნება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს რესპუბლიკანური სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დასკვნითურთ;

დ) ამის შემდეგ რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო წარუდგენს ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტს პროექტის სამ ცალს რესპუბლიკანური სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დასკვნით და „ა“ ლიტერში აღნიშნული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო-სატეხნიკო სამმართველოს ექსპერტიზით;

ე) ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტი მოსთხოვს ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამრეწველო სექციას დასკვნას პროექტის საგეგმო, ეკონომიური და ტეხნოლოგიური მხარის შესახებ, რის შემდეგაც განიხილავს მას ტეხნიკური და ეკონომიური მიზანშეწონილობის მხრით და, ან უარჰყოფს პროექტს, ან დაამტკიცებს როგორც მთლიანად, ისე ცალკე ნაწილებად.

შენიშვნა. უკეთუ არის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ან უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სათანადო დადგენილება, ან უკეთუ არსებობს განსაკუთრებული აზრი, პროექტის განხილვისა ან პროექტის განმხილველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანოთა დადგენილების განსაჩივრების დროს წარდგენილი,—ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტის დადგენილება უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

6. უკეთუ მე-2 მუხლში აღნიშნული მშენებლობის ღირებულება 2.000.000 მანეთს აღემატება, მაშინ:

ა) რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო გაუგზავნის პროექტის სამ ცალს შესათანხმებლად რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს, რომელიც განიხილავს პროექტს იმ წესით, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-4 მუხლის „ა“ და „ბ“ ლიტერში, და პროექტის ერთ ცალს თავისი დასკვნით დაუბრუნებს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს;

ბ) შემდეგ, რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო წარუდგენს პროექტის სამ ცალს, რესპუბლიკანური სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის დასკვნითურთ, ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტს, რომელიც მოითხოვს და მიიღებს ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამრეწველო სექციის დასკვნას პროექტის საგეგმო, ეკონომიური და ტეხნოლოგიური მხარის შესახებ; ამის შემდეგ ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტი განიხილავს პროექტს ტეხნიკური და ეკონომიური მიზანშეწონილობის მხრით და თავის დასკვნას წარუდგენს დასადასტურებლად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს;

გ) პროექტის დამტკიცება სწარმოებს იმ წესის თანახმად, რაც განსაზღვრულია ამა წესების 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების მე-4 მუხლით.

მშენებლობა, რომელსაც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ანხორციელებს.

7. წესი რესპუბლიკანური და ფედერატიული ორგანოების მიერ იმ სამრეწველო მშენებლობის პროექტების განხილვისა და შეთანხმებისა, რომელსაც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მისი ქვემდებარე საწარმო და დაწესებულება ანხორციელებს, დამყარებულია ქვემოდ, 8—10 მუხლში.

8. უკეთუ მე-7 მუხლში აღნიშნული მშენებლობის ღირებულება 50.000 მან. არ აღემატება, სათანადო ორგანო იმ სამრეწველო საწარმოსი, რომელსაც განზრახული აქვს სამშენებლო მუშაობის წარმოება, გაჰგზავნის პროექტს შესათანხმებლად ამა წესების მე-3 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ლიტერით გათვალისწინებული წესისამებრ, რის შემდეგაც პროექტი დამტკიცდება იმ წესის თანახმად, რაც განსაზღვრულია ამა წესების 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების მე-7 მუხლით.

9. უკეთუ მე-7 მუხლში აღნიშნული მშენებლობის ღირებულება 50.000 მან. აღემატება, ხოლო ვერ აღწევს იმ ლიმიტების რაოდენობას, რაც მრეწველობის ცალკე დარგებისათვის დაწესებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1927 წლის ნოემბრის 25-ის დადგენილებით, სათანადო ორგანო იმ სამრეწველო საწარმოსი, რომელსაც განზრახული აქვს სამშენებლო მუშაობის წარმოება, გაჰგზავნის პროექტს შესათანხმებლად ამა წესების მე-4 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ლიტერით გათვალისწინებული წესისამებრ, რის შემდეგაც პროექტი დამტკიცდება იმ წესის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად, რაც განსაზღვრულია ამა წესების 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების მე-7 მუხლით.

10. უკეთუ მე-7 მუხლში აღნიშნული მშენებლობის ღირებულება აღემატება შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1927 წლის ნოემბრის 25-ის დადგენილებით მრეწველობის ცალკე დარგებისათვის დაწესებულ ლიმიტებს,—სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საათანადო ორგანო შეუთანხმებს პროექტს რესპუბლიკანურ და ფედერატიულ ორგანოებს იმავე წესით, რაც მე-6 მუხლში გათვალისწინებულია იმ პროექტებისათვის, რომელიც ხორციელდება რესპუბლიკანური სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განკარგულებით, და წარადგენს პროექტს დასამტკიცებლად ამა წესების 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

ს ა ბ ო ლ ო ო პ რ ო ე ქ ტ ი.

11. უკეთუ საბოლოო პროექტი შედგენილია დამტკიცებულ საესკიზო პროექტის სრული შესაბამისობით, მისი დამტკიცება სწარმოებს იმ წესის თანახმად, რაც დადგენილია ამა წესების 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების მე-6 და 7 მუხლით.

12. უკეთუ ამა წესების 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების მე-6 მუხლის შენიშვნის თანახმად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ან ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო მოითხოვს საბოლოო პროექტის წარდგენას დასამტკიცებლად და აგრეთვე, უკეთუ საბოლოო პროექტი შედგენილია ისე, რომ იგი დამტკიცებული საესკიზო პროექტისაგან რითიმე განირჩევა,—საბოლოო პროექტი შეთანხმებულ და დამტკიცებულ უნდა იქნეს საესკიზო პროექტებისათვის დადგენილი წესისამებრ.

პ რ ო ე ქ ტ ი ს შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ა.

13. საესკიზო და საბოლოო სამრეწველო პროექტები თავისი შინაარსით უნდა შესაბამებოდეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ წესებს სამრეწველო პროექტების შედგენილობის შესახებ.

პ რ ო ე ქ ტ ი ს გ ა ნ ხ ი ლ ვ ი ს ვ ა დ ე ბ ი.

14. უკიდურეს ვადებად პროექტების განხილვისათვის დაწესებულია:

ა) სამშენებლო კონტროლის ადგილობრივ ორგანოებში (უნდა ჩაითვალოს შრომისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების ორგანოებთან შეთანხმებაც)—**3 კვირა;**

ბ) რესპუბლიკანურ სამშენებლო-ტეხნიკურ კომიტეტში (უნდა ჩაითვალოს შრომისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების ორგანოებთან შეთანხმებაც)—**1 თვე;**

გ) ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტში (უნდა ჩაითვალოს ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიისაგან დასკვნის მიღებაც)—**$1^1/_2$ თვე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. აღნიშნული ვადები ითვლება განხილვისათვის ყველა საჭირო მასალის წარდგენის დღიდან. მოთხოვნა იმ მასალის წარდგენის შესახებ, რაც პროექტს აკლია, განცხადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი კვირისა პროექტის მიღების შემდეგ.

დადგენილება № 79 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

251. ა/კსფსრ-ში დაზღვევით გათვალისწინებული უბედური შემთხვევების წინასწარ თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათათვის (პრევენცია და რეპრესია) სახელმწიფო დაზღვევის მოგებიდან გადადებული ანარიცხის განაწილებისა და დახარჯვის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია ა/კსფსრ-ში დაზღვევით გათვალისწინებული უბედური შემთხვევების წინასწარ თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათათვის (პრევენცია და რეპრესია) სახელმწიფო დაზღვევის მოგებიდან გადადებული ანარიცხის განაწილებისა და დახარჯვის წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

ტფილისი—სასახლე. 1928 წ. ნოემბრის 22.

ინსტრუქცია.

ა/კსფსრ-ში დაზღვევით გათვალისწინებული უბედური შემთხვევების წინასწარ თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათათვის (პრევენცია და რეპრესია) სახელმწიფო დაზღვევის მოგებიდან გადადებული ანარიცხის განაწილებისა და დახარჯვის წესის შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. სახელმწიფო დაზღვევის მიერ დაზღვევით გათვალისწინებულ უბედურ შემთხვევებთან ბრძოლისა და მათი წინასწარ თავიდან აცილების ღონისძიებათათვის (პრევენცია და რეპრესია) გადადებული ანარიცხი და აგრეთვე ავანსები ამ თანხის ანგარიშში განაწილდება ა/კსფსრ-ში შემდეგი წესების საფუძველზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის მოგების ანარიცხი.

2. სავალდებულო საგადანაკვეთთ დაზღვევის მოგების ანარიცხს აქვს შემდეგი დანიშნულება:

ა) ცეცხლისაგან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის ოპერაციების მოგების ანარიცხი გამოყენებულ უნდა იქნეს ხანძარის წინასწარ თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის ღონისძიებათათვის;

ბ) სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის ოპერაციების მოგების ანარიცხი გამოყენებულ უნდა იქნას საქონლის გაწყდომის წინასწარ თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის ღონისძიებათა-თვის;

გ) სასოფლო-სამეურნოე კულტურების სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის ოპერაციების მოგების ანარიცხი დაიხარჯება სეტყვასთან დაკავშირებულ ბუნების მოვლენათა შესწავლისათვის და სეტყვასთან უშუალო ბრძოლის ცდებისათვის. უკეთუ აღნიშნული სახსარი ამ მიზნისათვის გამოყენებულ არ იქნა, იგი მიიქცევა ცეცხლისა და საქონლის გაწყდომის წინასწარ თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა განსახორციელებლად, თვითეული ამ სახის დაზღვევეთ შეკრეფილი პრემიის რაოდენობის პროპორციონალურად.

3. ამა ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტის თანახმად გადადებული ანარიცხის ნაწილი, რაც ყოველწლიურად დაწესდება ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ამიერკავკასის სახელმწიფო დაზღვევის საერთო გეგმით (ამა ინსტრუქციის მე-6 მუხლი), ჩაირიცხება ხანძართან და საქონლის გაწყდომასთან ბრძოლისა და სეტყვასთან დაკავშირებული ბუნების მოვლენათა შესწავლის სარეზერვო ფონდში, ხოლო დანარჩენი თანხა განაწილდება ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობის მიერ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის თვითეული სახის დაზღვევისათვის (ხანძარი, საქონლის გაწყდომა, სეტყვა) ცალკე—პროპორციონალურად სადასაზღვეო გადასახადის ფაქტიურად შეკრეფილი თანხისა, რაც მიღებული იქნა იმ წლისათვის, რომლისთვისაც განაწილება სწარმოებს.

ამა მუხლში აღნიშნული ანარიცხი, ვიდრე იგი საბოლოოდ განაწილდებოდეს, შეიტანება განსაკუთრებულ მიმდინარე ანგარიშზე, რომლის პროცენტიც მიემატება აღნიშნულ სახსარს.

4. სარეზერვო ფონდის სახსარი დანიშნულია:

ა) ასიგნვათა გასაძლიერებლად განსაკუთრებით გაპირვებული რესპუბლიკებისათვის;

ბ) ა/კსფსრ მასშტაბში დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევების წინასწარ თავიდან ასაცილებლად და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა მოსაწყობად და განსახორცილებლად;

გ) დაზღევით გათვალისწინებულ სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლის სასწრაფო საჭიროებისათვის;

დ) სეტყვასთან დაკავშირებულ ბუნების მოვლენათა შესასწავლად.

აღნიშნული სახსარი ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობის მიერ შეიტანება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ცალკე მიმდინარე ანგარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შზე, რის პროცენტიც შედის სარეზერვო ფონდის სახსარში და დაიხარჯება იმ გეგმის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავებს ამერიკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა, განიხილავს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსი სადასაზღვევო საბჭო და დაამტკიცებს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

შენიშვნა 1. სახელმწიფო დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევების წინასწარ თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა სარეზერვო ფონდიდან ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული დახმარება და სესხი გატარებულ უნდა იქნეს ადგილობრივ ბიუჯეტში, როგორც მტკიცე მიზნობრივი დანიშნულების მქონე ასიგნვა, და იხარჯებოდეს ამა ინსტრუქციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ.

შენიშვნა 2. ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა იმ გეგმას, რომელიც მან უნდა შეიმუშაოს, საფუძვლად დაუდებს ადგილობრივ ორგანოთა შუამდგომლობასა და ზოგად მოსაზრებებს გეგმაში შესატან ღონისძიებათა საჭიროებისა და აუცილებლობის შესახებ.

5. რესპუბლიკებს შორის განაწილებული სახსარი დაიხარჯება ადგილობრივ შედგენილი და ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობის საერთო გეგმასთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით.

6. ამა ინსტრუქციის მე-5 მუხლში აღნიშნული რესპუბლიკანური გეგმები სახსრის დახარჯვისა შედგენილ იქნება სახელმწიფო დაზღვევის კონტორების მიერ საქართველოს სს რესპუბლიკასა, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკასა და სომხეთის სს რესპუბლიკაში და წარედგინება განსახილველად რესპუბლიკების საუწყებათაშორისო თათბირებს.

შენიშვნა. გეგმის პროექტში აღნიშნულ უნდა იქნეს: ა) ზედმიწევნითი რაოდენობა თანხისა, რაც თვითეული სახის დაზღვევისათვის დანიშნულია სესხის გასაცემად და დაუბრუნებული დახმარების თანხისა ცალკე; ბ) დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელშიაც შეტანილ უნდა იქნეს ესა თუ ის თანხა და გ) ამ თანხის მიზნობრივი დანიშნულება.

7. აღნიშნული საუწყებათაშორისო თათბირი მოეწყობა სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დანიშნული პირის თავმჯდომარეობით; თათბირში შეელენ: სახელმწიფო დაზღვევის რესპუბლიკანური კონტორის მმართველი და თითო წარმომადგენელი სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და გლეხთა ურთიერთი დახმარების საზოგადოებათა კომიტეტისა.

8. საუწყებათაშორისო თათბირის მიერ განხილული გეგმა წარედგინება დასამტკიცებლად სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და ამ უკანასკნელის მიერ ეცნობება, შვიდი დღის განმავლობაში დღიდან დამტკიცებისა, ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობას.

ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობას უფლება ეძლევა, უკეთუ გეგმას არ დაეთანხმება, განასაჩიროს იგი ერთი კვირის განმავლობაში,— ფინანსთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში. ამ შემთხვევაში გეგმის ის ნაწილი, რომელიც განსაჩივრებულია ამიერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობის მიერ, მოიყვანება სისრულეში მხოლოდ მას შემდეგ, რაც სადავო საკითხი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში გადაწყდება.

9. უკეთუ ადგილობრივ წარმოიშვა აუცილებლობა პირვანდელ გეგმაში,—მისი დამტკიცების შემდეგ,—ცვლილების შეტანისა, ეს ცვლილება შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ ამა ინსტრუქციის 6-8 მუხლში დადგენილი წესით.

10. ამა ინსტრუქციის მე-8 მუხლით დადგენილი წესისამებრ დამტკიცებული გეგმების მიღებისას ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობა, უკეთუ გეგმების შესახებ ოაიმე საწინააღმდეგო აზრი არა აქვსრა, დაუყოვნებლივ გაანაწილებს სახსარს გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად—შემდეგი წესით:

ა. ის თანხა, რაც გეგმით გათვალისწინებულია უპროცენტო სესხის გასაცემად, შეიტანება მიზნობრივი დანიშნულების ანაბარად რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო და კომუნალურ ბანკში და დაიხარჯება შემდეგნაირად: ა) სესხი გაიცემა ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის კონტორის ან სააგენტოს მეშვეობით გაგზავნილი შუამდგომლობით; ბ) სასოფლო-სამეურნეო ან კომუნალური ბანკის დაწესებულებების მიერ სახელმწიფო დაზღვევის სახსარიდან სესხის მიცემის საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობას მიიღებს ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის კონტორის წარმომადგენელი; გ) სესხი გაიცემა ვადით 6 თვიდან 5 წლამდე; დ) სესხის დასაფარავად მიღებული თანხა მიიქცევა სასესხო კაპიტალის აღსადგენად; ე) ანგარიშგება სესხის გამო წარედგინება სახელმწიფო დაზღვევის კონტორას ურთიერთი შეთანხმებით დადგენილ ვადაზე და იმავე წესისამებრ დადგენილი ფორმით.

ბ. დაუბრუნებელი დახმარებისათვის გეგმით გათვალისწინებული თანხა გადაიცემა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარში და დაიხარჯება მხოლოდ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. შუამდგომლობა დახმარების მიცემის შესახებ შეიტანება სათანადო ორგანოებში სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი აგენტების მეშვეობით, მათი დასკვნითურთ, და განიხილება მათივე მონაწილეობით.

III. ნებაყოფლობითი და სავალდებულო არასაგადანაკვეთო დაზღვევის მოგების ანარიცხი.

11. ნებაყოფლობითი და სავალდებულო არასაგადანაკვეთო დაზღვევის მოგების ანარიცხს აქვს შემდეგი დანიშნულება:

ა) ცეცხლისაგან ნებაყოფლობითი და სავალდებულო არასაგადანაკვეთო დაზღვევის ანარიცხის ნაწილი ჩაირიცხება სარეზერვო ფონდში, რომელიც შეიქმნება ცეცხლისაგან საგადანაკვეთო დაზღვევის ოპერაციების ანარიცხებისაგან (ამა ინსტრუქციის მე-3 მუხლი), ხოლო დანარჩენი ნაწილი მიიქცევა უპროცენტო სესხისა და დაუბრუნებელი დახმარების მისაცემად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომუნალურ დაწესებულებათა და სამრეწველო საწარმოთათვის ხანძარის წინასწარ თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის ღონისძიებების განსახორციელებლად.

სახსარის სარეზერვო ფონდში ჩასარიცხი ნაწილის რაოდენობა განისაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვრება, ერთის მხრით, სოფლად ცეცხლისაგან ნებაყოფლობითი დაზღვევით და, მეორეს მხრით, სხვა ნებაყოფლობითი და სავალდებულო არასაგადანაკვეთო დაზღვევით მიღებული პრემიების რაოდენობის მიხედვით;

ბ) სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის ანარიცხი მთლად ჩაირიცხება სემეურნეო ფონდში, რომელიც შეიქმნება სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის სათანადო ანარიცხისაგან (ამა ინსტრუქციის მე-3 მუხლი) და დაიახარჯება ამა ინსტრუქციის მე-4 მუხლში აღნიშნული წესისამებრ;

გ) სასოფლო-სამეერნეო კულტურების სეტყვისაგან ნებაყოფლობითი დაზღვევის ანარიცხის 50% ჩაირიცხება სარეზერვო ფონდში, რომელიც შეიქმნება სასოფლო-სამეურნეო ცხოველების სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის ანარიცხით, ხოლო დანარჩენი 50%—ცეცხლისაგან სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის ანარიცხით შექმნილ სარეზერვო ფონდში და დაიხარჯება ამა ინსტრუქციის მე-4 მუხლში აღნიშნული წესისამებრ;

დ) პირადი დაზღვევის ანარიცხი მთლად ჩაირიცხება ამ სახის დაზღვევის სარეზერვო ფონდში და დაიხარჯება ამა ინსტრუქციის მე-4 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

უკეთუ ამ პუნქტში აღნიშნული ანარიცხი გამოყენებული არ იქნება პირადი დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევების წინასწარ თავიდან აცილების ღონისძიებათათვის, იგი ჩაირიცხება იმ თანხაში, რაც დანიშნულია უპროცენტო სესხისა და დაუბრუნებელი დახმარების მისაცემად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომუნალურ დაწესებულებათა და სამრეწველო საწარმოთათვის—ხანძართან ბრძოლის ღონისძიებათა განსახორციელებლად (ამ მუხლის „ა“ პუნქტი);

ე) საგარანტიო დაზღვევის ანარიცხი მიიქცევა დაუბრუნებელი დახმარების გასაცემად იმ შემთხვევების წინასწარ თავიდან აცილების ღონისძიებათათვის, რაც გათვალისწინებულია ამ სახის დაზღვევის წესებით.

12. ამა ინსტრუქციის მე-11 მუხლის „ა“, “დ“ და „ე“ პუნქტში აღნიშნული ანარიცხის გამოყენების გეგმა შედგენილ იქნება ყოველწლიურად,—ადგილობრივი საჭიროების მიხედვით,—ამერკავკასის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობის მიერ, განიხილება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სადასაზღვო საბჭოში და წარედგინება დასამტკიცებლად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

IV. მოგების ანარიცხების დახარჯვისათვის მეთვალყურეობის გაწევა და მისი გამოყენების შესახებ ცნობების წარდგენა.

13. მეთვალყურეობის გაწევა იმასათვის, რათა მოგების ანარიცხი დახარჯულ იქნეს დანიშნულებისამებრ, დამტკიცებული გეგმების თანახმად, დაეკისრება ამერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის გამგეობას.

14. ყველა დაწესებულება და ორგანო, რომელიც დაზღვევით გათვალისწინებული უბედური შემთხვევების წინასწარ თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათათვის (პრევენცია და რეპრესია) გადადებული ანარიც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიდან მიიღებს თანხას სესხისა და დახმარაბის გასაცემად,—წარუდგენს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დაზღვევის კონტორას წლიურ ანგარიშს აღნიშნული თანხის გამოყენების შესახებ. ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 2 თვისა იმ წლის დამთავრების შემდეგ, როდესაც სახსარი მიღებული იყო, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო დზღვევის მიერ დადგენილი ფორმით.

15. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებს შორის განაწილებული სახსარის დახარჯვის დროს ხსენებული რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა იხმარონ სათანდო ღონისძიება, რათა მოსახლეობას ეცნობოს, რომ მას დაებრუნება შეკრეფილი სადასაზღვევო თანხის ის ნაწილი, რაც ზედმეტი აღმოჩნდება დაზღვეული ქონებით მიყენებული ზარალის დაფარვის შემდეგ. სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის მთავარი გამგეობის ანარიცხიდან მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის საქმის მოწყობაში აუცილებლად მონაწილეობას მიიღებენ ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოები.

16. ამა ინსტრუქციაში აღნიშნული ანარიცხების არაპირდაპირი დანიშნულებისათვის გამოყენება გამოიწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

252. საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საბინაო პოლიტიკის შესახებ“ 1928 წლის იანვრის 4-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრებ. 1928 წ. № 6, მუხ. 49) საფუძველზე—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემოაღნიშნული დებულება საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

2. საბინაო-კოოპერატიული ორგანიზაციების წესდებაში შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებანი, რაც აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ყველა რესპუბლიკის მთავრობას:

ა) გამოსცეს საბინაო კოდექსი მთლად საბინაო საქმის მოსაწესრიგებლად;

ბ) დაამყაროს სპეციალური მეთვალყურეობა, რათა იმ ქალაქებისა და დასახლებული ქალაქ-ადგილების ბიუჯეტში, რომელნიც მწვავე საბინაო კრიზისს განიცდიან, გათვალისწინებულ იქნეს მაქსიმალური ასიგნები საბინაო მშენებლობისათვის, რომელი ასიგნებიც წლითი-წლობით უნდა იზრდებოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს მოაწესრიგონ საკითხი:

ა) ქალაქებისა და დასახლებული ქალაქ-ადგილების დაგეგმვისა—მშენებლობის საჭიროებასთან და სტიქიური ხასიათის საბინაო მშენებლობის მოწესრიგების აუცილებლობასთან დაკავშირებით, რაც აძლევს ქალაქებისა და დასახლებული ქალაქ-ადგილების გეგმაშეწონილ ზრდას და რაც იწვევს უნაყოფო ხარჯს მათი კეთილმოწყობის დარგში;

ბ) სპეციალური კაპიტალების შექმნისა, რაც დანიშნულ უნდა იქნეს მუშებით დასახლებული ახალი ადგილების კომუნალური კეთილმოწყობის დაფინანსებისათვის;

გ) ყველა კატეგორიის მეაღნაგეთა მიერ წარმოებული საბინაო მშენებლობის განვრცობისა და კონცენტრაციისა;

დ) მუშათა ინდივიდუალური მშენებლობის მოწესრიგებისა;

ე) საბინაო ფონდის განვითარებისა – ზედა სართულების აგებით და საგარეთუბნო დასახლებული ადგილების უფრო მეტი გამოყენებით, რისთვისაც გაუმჯობესებულ უნდა იქნეს საგარეთუბნო მიმოსვლა;

ვ) კომუნალური კეთილმოწყობის ღონისძიებათა ბინების მშენებლობასთან შეთანხმებისა;

ზ) ადგილობრივი საბჭოების მიერ სახლებისა და საერთო საცხოვრებლების აშენებისა, რიგორც იმ მუშებისათვის, რომელთაც მუდმივი მკვიდრობა არა აქვთ (მშენებელი, მტვირთავი და სხვ.), ისე მარტოხელა მუშებისათვის.

5. როგორც მუნიციპალური, ისე მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა გამგებლობაში მყოფი საბინაო ფონდის გამოყენების მოწესრიგებისათვის და აგრეთვე ბინებში მუშა-მოსამსახურეთა სათანადო მოთავსებისათვის—წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) დაეევალოს ადგილობრივ საბჭოთ და საწარმოთ ბინებისა და ოთახების გაქირავება იმ სახლებში, რაც მათ უშუალო ექსპლოატაციაშია, აწარმოონ ცალკე დამქირავებლებთან ხელშეკრულების დადების საფუძველზე, რომელ ხელშეკრულებაშიაც ზედმიწევნით უნდა იყოს გათვალისწინებული მდგმურების მოვალეობა ბინების წესიერად შენახვისათვის, ხოლო „ბ“ პუნქტში აღნიშნულ სახლებში არსებული ბინებისა და ოთახების მიმართ—აგრეთვე განსაზღვრული ვადაც დაქირავებისა;

ბ) უფლება მიეცეს მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთ და აგრეთვე ადგილობრივ საბჭოთ—სპეციალური სამანევრო ფონდის („გ“ პუნქტი) იმ სახლებში, რომელთა ექსპლოატაციასაც ისინი უშუალოდ ეწევიან, გაანთავისუფლონ საცხოვრებელი სივრცე ყველა კატეგორიის დამქირავებლისაგან ბინის ხელშეკრულებით გათვალისწინებული („ბ“ პუნქტი) ვადის გასვლისას;

გ) დაეევალოს ადგილობრივ საბჭოებს—მუნიციპალიზებული და მათ მიერ ახლად აგებული სახლების ნაწილისაგან შექმნან სპეციალური სამანევრო ფონდი; ამასთანავე, ამ ფონდში შემავალი სახლების მმართველობა შეიძლება მოიწყოს სახლთა ტრესტის სახით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) უფლება მიეცეს ადგილობრივ საბჭოებს—გაუგრძელონ საიჯარო ვადა საბინაო-საიჯარო კოოპერატივებს 24 წლამდე, უკეთუ აუცილებელია, რომ იჯარით აღებული სახლის კაპიტალური რემონტისათვის გაწეულ უნდა იქნეს ხარჯი არა ნაკლებ სახლის ღირებულების 15%-ის რაოდენობისა;

ე) დაევალოს ადგილობრივ საბჭოებს და საბინაო კოოპერაციის კავშირებს—მოახდინონ სახლების საგასავლო ბიუჯეტის მტკიცე დანორმვა, რასაც საფუძვლად უნდა დაედვას ბინების საექსპლოატაციო და საამორტიზაციო ხარჯების რაოდენობის ზედმიწევნით გამოანგარიშება და უნაყოფო ხარჯების ლიკვიდაცია;

ვ) წინადადება მიეცეს საბინაო კოოპერაციის კავშირებს—მიიღონ სათანადო ღონისძიებანი ნაკლებ ძალოვანი საბინაო-საიჯარო კოოპერატივების განვრცობისათვის, რათა ამით შემცირებულ იქნეს სახლების საექსპლოატაციო ხარჯი.

6. წინადადება ეძლევა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) უფლება მისცენ საქალაქო საბჭოებს, რათა მათ ვალდებულჰყონ საბინაო საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობანი, რომ მათ მიერ იჯარით აღებულ სახლებში განთავისუფლებული ბინები და ოთახები მიაქირაონ მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთ, რომელთაც ბინა ესაჭიროებათ და ამხანაგობის წევრებად-კი არ ირიცხებიან,—უკეთუ ამ ამხანაგობის წევრები დაკმაყოფილებულ არიან საცხოვრებელი სივრცით იმდენად, რომ ეს სივრცე ამა თუ იმ ქალაქში არსებულ საშუალო ფაქტიურ ნორმაზე ნაკლები არ არის; ამასთანავე, საქალაქო საბჭოს უფლება ეძლევა, საბინაო-კოოპერატიულ კავშირთან ერთად, განსაზღვროს ჩასასახლებელ პირთა კატეგორია და აგრეთვე წესი და რიგი ჩასახლებისა.

შენიშვნა. მეცნიერების დარგში მომუშავეთ უნდა დარჩეს უფლება თვითშემჭიდროებისა და აგრეთვე სხვა უფლება საცხოვრებელ სივრცეზე, რაც მათ მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ.

ბ) უფლება მისცენ მშრომელებს—გასცვალონ სადგომები ერთი ქალაქისა და ქალაქის განაპირა რაიონების ფარგალში, ხოლო იმ შემთხვევაში, უკეთუ სადგომების გაცვლა საჭირო იქნება სახელმწიფო საწარმოთა და დაწესებულებათა მომუშაველებს შორის, მათ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით,—სხვადასხვა ქალაქების ფარგალშიაც; გაცვლა იმ საცხოვრებელი სივრცისა, რაც მრეწველობისა და ტრანსპორტების საწარმოს ეკუთვნის, შეიძლება მხოლოდ საწარმოს ადმინისტრაციის თანხმობით.

ბინების გაცვლა-გამოცვლის გასაადვილებლად და საცხოვრებელი სადგომების მოსანახავად საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა ქალაქებში მოეწყოს საბინაო საშუამავლო ბიუროები.

გ) გააძლიერონ ზედამხედველობის გაწევა, რათა დაცულ იქნეს ცენტრალური ორგანოების კანონდებულებანი და განკარგულებანი, რაც სახლების დემუნიციპალიზაციას შეეხება, და შეუძლებელჰყონ საბინაო კოოპერაციის მიერ იჯარით აღებული სახლების დემუნიციპალიზაცია;

დ) ვალდებულჰყონ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები,—მუშათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის მოთხოვნით, — შესცვალონ ხოლმე ამ უკანასკნელთან დადებული ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის აღნაგობის უფლების შესახებ ახალი ხელშეკრულებით აღნიშნული მიწის ნაკვეთის ამ ამხანაგობისათვის **უვადო სარგებლობაში** გადაცემის შესახებ.

ამგვარი ხელშეკრულების დადების დღიდან ხსენებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობები ჩაითვლება ისეთ შენობებად, რომელიც ეკუთვნის მუშათა სათანადო საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობას—კოოპერატიული საკუთრების უფლების საფუძველზე.

უკეთუ აღნაგობის უფლებაზე არსებობს გირავნობა, ხელშეკრულების გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ მოგირავნის თანხმობით;

ე) უზრუნველჰყონ დაკრედიტების გეგმაში,—1928/29 წ. დაწყებული,—გადიდება საბინაო კოოპერაციის ხვედრითი წონისა მშენებლობაში და მისი წილისა ბინების ასაგებად დანიშნულ სახელმწიფო კრედიტებში—ამ კოოპერაციის საპაიო სახსარის ზრდის მიხედვით, და აგრეთვე ვალდებულჰყონ ადგილობრივი საქალაქო ბანკები — საკრედიტო გეგმის შედგენის დროს გაითვალისწინონ, რომ საჭიროა საბინაო კოოპერაციის კავშირებისათვის მიზნობრივი კრედიტების გადიდება, დაწესებული ლიმიტების ფარგალში,—რათა ამ კავშირებმა გააძლიერონ თავისი პერიფერიისათვის საშენი მასალის მიწოდების საქმე;

ვ) უფლება მისცენ საბინაო-საიჯარო კოოპერაციას თავისი საერთო შემოსავლის ნაწილი—5%-მდე—მიაქციოს ყოფა-ცხოვრების კოლექტიურ მომსახურეობის მოსაწყობად, ხოლო მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს იმავე მიზნისათვის—სახლის საექსპლოატაციო ხარჯის ანარიცხი 5%-მდე;

ზ) ვალდებულჰყონ შრომის სახალხო კომისარიატები და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები—საზოგადოებრივ სამუშაოთა კრედიტების გამოყენების დროს—ნაწილი ამ კრედიტებისა წარმართონ ნაკვეთების დაგეგმვისათვის და კეთილმოწყობისა და ახალი საბინაო მშენებლობის სამზადისის სხვა სამუშაოებისათვის.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ დადგენილებანი, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქალაქებში და აგრეთვე, საკურორტო, სააგარაკო და მუშებით დასახლებულ ადგილებში საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალების შექმნა, რომელი კაპიტალებიც დანიშნულ იქნება მხოლოდ მუნიციპალური ფონდის ბინების აგებისა, აღდგენისა და კაპიტალური რემონტისათვის; ამასთანავე, ამ დადგენილებებით განსაზღვრულ უნდა იქნეს, რომ აღნიშნულ კაპიტალებში შედის:

ა) წმინდა შემოსავალი და საამორტიზაციო თანხა იმ საცხოვრებელი სადგომებისა, რომელთა უშუალო ექსპლოატაციასაც ადგილობრივი საბჭო ეწევა;

ბ) საიჯარო ქირა იმ საცხოვრებელი სახლებისა, რომელსაც სათანადო ადგილობრივი საბჭო გააქირავებს;

გ) საიჯარო ქირა იმ სადგომებისა, რასაც ადგილობრივი საბჭო მიაქირავებს სახელმწიფო დაწესებულებას კანცელარიისათვის და სხვა არასავაჭრო და არასამრეწველო ხასიათის საჭიროებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) თანხა, რაც მიღებულ იქნება კანონით გათვალისწინებულ შეითხვევაში მუნიციპალური შენობის გაყიდვით;

ე) ანარიცხი სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო სადგომების საიჯარო ქირისა—ადგილობრივი საბჭოს მიერ დაწესებული რაოდენობით, ხოლო არა ნაკლებ 50%-ისა;

ვ) სხვა შემოსავალი, რაც დაწესებულ იქნება სათანადო ადგილობრივი საბჭოს დადგენილებით;

ზ) პროცენტი საბინაო ფონდის სათანადო კაპიტალებისა.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლსკების სახალხო კომისართა საბჭოებს სამი თვის განმავლობაში წარუდგინონ მოხსენება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნულ დავალებათა შესრულების შესახებ.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია ქვემოაღნიშნული დებულების შეფარდებისათვის.

დებულება საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

1. აკრძალულია ყველა მუნიციპალიზებულ და ნაციონალიზებულ სახლში არაშრომითი კატეგორიის პირთან ხელახლა ხელშეკრულების დადება საცხოვრებელი სივრცის დაქირავების შესახებ.

არაშრომითი კატეგორიის პირებთან, რომელთა შემოსავალიც იბეგრება საშემოსავლო გადასახადით და წელიწადში 3.000 მან. აღემატება, სადგომის დაქირავების ვადა 1929 წლის ოქტომბრის 1-ის შემდეგ არ შეიძლება განგრძობილ იქნეს.

2. საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა ვალდებულია მიიღოს ამხანაგობის წევრად მუშა-მოსამსახურე, რომელიც ამხანაგობაში შესვლის სურვილს განაცხადებს, უკეთუ იგი ეკუთვნის ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:

ა) ახალი მდგმური, რომელსაც მიქირავებული აქვს საცხოვრებელი სივრცე სათანადო სახლთმფლობელობაში;

ბ) ის პირი, რომელიც ჩასახლებულია არსებული წესისამებრ საცხოვრებელი სივრცის გაცვლით;

გ) ის პირი, რომელსაც აქვს საცხოვრებელი სივრცე მუდმივი სარგებლობის უფლების საფუძველზე, ხოლო რომელიც წინად საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის წევრად არ ირიცხებოდა.

დ) დროებითი მდგმური, რომელიც პროფესიონალური კავშირის წევრია და ფაქტიურად სახლთმფლობელობაში ერთ წელიწადს მაინც სცხოვრობს.

3. უფლება მიეცეს საბინაო-საიჯარო კოპერატიულ ამხანაგობას, რომელსაც წევრთა დიდი რიცხვი ჰყავს, საერთო კრების მაგიერ, მოიწვიოს ხოლმე რწმუნებულთა კრება საერთო კრების უფლებით. ამხანაგობის წევრთა რაოდენობა, რომელიც ჰქმნის შესაძლებლობას, საერთო კრების მაგიერ, რწმუნებულთა კრება მოიწყოს, და აგრეთვე წარმომადგენლობის ნორმები რწმუნებულთა კრებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის განისაზღვრება—საბინაო საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის მიმართ—სათანადო საბინაო კავშირის მიერ.

4. იმ საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის წესდებაში, რომელსაც გადაცემული აქვს ქირით სახელმწიფო სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოს საცხოვრებელი შენობა,—თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის ივლისის 6-ის დადგენილებისა". მუშათა საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობებისათვის სახელმწიფო საწარმოთა მიერ მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის ხარჯით აგებული საცხოვრებელი შენობების გადაცემის შესახებ" (სსრ კავშირის კან. კრებ. 1927 წ. № 43, მუხ. 430),—გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ამ ამხანაგობის მონაწილე ავტომატიურად გამოდის წევრთა შედგენილობიდან მას შემდეგ, რაც იგი მიატოვებს მუშაობას სათანადო სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოში, და გამოსახლებულ უნდა იქნეს სახლიდან კანონით დადგენილი წესისამებრ.

5. საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის ნორმალურ წესდებაში და საბინაო კოოპერაციის კავშირის ნორმალურ წესდებაში ზედმიწევნით უნდა იყოს აღნიშნული ის შემთხვევა, თუ როდის შეიძლება საბინაო კოოპერაციის ორგანოთა დადგენილების განსაჩივრება საბინაო კოოპერაციის უმაღლეს ორგანოში და როდის უნდა იქნეს ეს დადგენილება განსაჩივრებული სასამართლო წესით.

6. საბინაო კავშირის ნორმალურ წესდებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) საბინაო კოოპერაციის კავშირის კომპეტენციის გაფართოება სამეურნეო და უფლებრივი კონტროლისა და მის შედგენილობაში შემავალ საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობათათვის მომსახურეობის გაწევის სფეროში და აგრეთვე საბინაო კოოპერატივების განვრცობის საქმისათვის ხელმძღვანელობის გაწევის სფეროში, იმ პირობით კი, რომ საბინაო კავშირის დირექტივს ადმინისტრატიული განკარგულების ხასიათი არა ჰქონდეს;

ბ) საბინაო კოოპერაციის კავშირისათვის უფლების მიცემა, რათა იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობის გამგეობა დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებს, მოახდინოს, ამხანაგობის საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების მეშვეობით, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ვადამდე არჩევა;

გ) დაწესება კოოპერატიულად შეკავშირებული მოსახლეობისა და საცხოვრებელი სივრცის მინიმუმისა, რაც აუცილებელია საბინაო კოოპერაციის კავშირის არსებობისათვის;

დ) განსაზღვრა წესისა საბინაო კოოპერაციის კავშირის დადგენილების განსაჩივრებისათვის საბინაო კოოპერაციის უმაღლეს ორგანოში;

ე) საბინაო კოოპერაციის კავშირის უფლება—დაშალოს ის საბინაო კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც აღიარებულ იქნება ცრუ-კოოპერატიულ ორგანიზაციად.

7. მინიმალურ ვადად, რომლითაც შენობა შეიძლება მიექიროს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობას,—დაწესებულ იქნეს 9 წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ხელშეკრულება საბინაო-საიჯარო კოოპერატივისათვის სახლების იჯარით გადაცემის შესახებ შეიძლება მოიშალოს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით—საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო. უკეთუ აღნიშნული ამხანაგობის ლიკვიდაცია მოხდა, მოქმედება საიჯარო ხელშეკრულებისა, რაც ამ ამხანაგობას დადებული ჰქოდა მუნიციპალიზებული შენობის იჯარის შესახებ, ავტომატიურად მოისპობა.

უკეთუ საბინაო-საიჯარო კოოპერატივის მიერ დადებული საიჯარო ხელშეკრულება მოიშალა, აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია აუნაზღაუროს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობას მის მიერ გაწეული კაპიტალური ხარჯი—განსაკუთრებული მიზნობრივი შენატანიდან—იმ რაოდენობით, რასაც სასამართლო განსაზღვრავს.

უკეთუ სასამართლო წესით გამოირკვევა, რომ ის სახლი, რომელიც საბინაო-საიჯარო ამხანაგობას იჯარით აქვს აღებული, მოუველია, რითაც აღმასრულებელ კომიტეტს ზიანი მოუვიდა,—საბინაო-საიჯარო ამხანაგობა აუნაზღაურებს აღმასრულებელ კომიტეტს ყველა ზარალს მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით.

9. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა ცენტრალიზებული სახსარის ხარჯით გასაცემი საბანკო კრედიტის გეგმაში 1928 წლის ოქტომერის 1-დან გათვალისწინებულ იქნეს კრედიტების მიცემა მხოლოდ იმ განვრცობილი კოოპერატივებისათვის, რომელთაც, თავისი ფინანსიური დანაგროვის მიხედვით, აქვთ უფლება მიიღონ კრედიტი არა ნაკლებ 50.000 მანეთისა ქ. ბაქოსა, ტფილისსა და ერივანში და არა ნაკლებ 25.000 მანეთისა—ა/კსფსრ დანარჩენ ქალაქებში.

10. საბანკო დაკრედიტების გეგმაში შეტანილ უნდა იქნეს სახსარი, საიდა ნაც საქალაქო ბანკები მისცემენ მიზნობრივ სესხს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებს კაპიტალური რემონტისათვის, ვადით 2 წლიდან 8 წლამდე, რემონტის ხასიათისა და ამხანაგობის ძალოვნების მიხედვით. აღნიშნული სესხის პროცენტის რაოდენობა დაწესებულ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ, სათანადო ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარდგენით.

11. აღმასრულებელ კომიტეტს, სახელმწიფო საწარმოს და კოოპერატიულ ორგანიზაციას უფლება ეძლევა იმ სახსარის ფარგალში, რაც მათ, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, შეუძლიანთ ამ მიზნისათვის იქონონონ,—მისცენ სესხი მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობებს. აღნიშნული სესხი შეიძლება გაცემულ იქნეს უპროცენტოდ ან პროცენტით, რაც წლიურად 1%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

12. წინა მუხლში აღნიშნული სესხის გაცემის დროს იურიდიულ პირს, რომელიც სესხს გაიღებს, უფლება აქვს მისცეს საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას დირექტივი,—ხოლო არა უმეტეს, ვიდრე საცხოვრებელი სივრცის 50%-ის მიმართ,—ვინ უნდა იყოს ამ სახსარით აგებულ ბინებში ჩასახლებული იმ პირთაგან, რომელნიც, კანონის თანახმად, შეიძლება იყვნენ მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წევრებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ამა მუხლის წესები არ გავრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც სესხი გაცემულია მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან.

13. ის პირი, რომელიც ჩასახლებულ იქნება ახლად აგებულ შენობაში წინა მუხლით (12) გათვალისწინებული წესისამებრ, სესხის მიმცემი დაწესებულებისა, საწარმოს ან ორგანიზაციის წინადადებით,—ვალდებულია აძლიოს სასყიდელი მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას დაჭერილი სივრცისისათვის აღნიშნული ამხანაგობის წევრების თანაბრად; იმავე პირს უფლება აქვს შევიდეს ამხანაგობაში წევრად.

14. რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდი, რაც ნაწილობრივ ან სრულად დანიშნულია საბინაო მშენებლობის განსახორციელებლად, უკეთუ იგი დამოუკიდებელი მშენებლობისათვის საკმარისი არ არის, შეიძლება, გამონაკლისის სახით, სათანადო პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით, გამოყენებულ იქნეს იმისათვის, რომ მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივს, რომლის შედგენილობაშიაც უმეტესობას ამა თუ საწარმოს მუშები შეადგენენ, მიეცეს სესხი, იმ პირობით, თუ ეს კოოპერატიული ამხანაგობა მშენენებლობის საქმეს საკუთარ საპაიო სახსარს მოახმარებს.

14. საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას, სამეურნეო ორგანოს და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება ეძლევათ—ის სახსარი, რაც განთავისუფლდება შენობის აგების გაიაფვების გამო, ბანკის ხელშეკრულების სათანადო პირობებთან შედარებით (შენების თვისების გაუარესების გარეშე), და აგრეთვე ის სახსარი, რაც განთავისუფლდება დამხმარე სივრცის შემცირების გამო, დადგენილ ნორმასთან შედარებით,—გამოიყენონ იმისათვის, რომ მოაწყონ საბავშვო დაწესებულებანი, საზოგადოებრივი სამრეცხაონი, სასადილო ნი და სხვა ნაგებობანი მრავალბინიან სახლებში და დასახლებულ ადგილებში ყოფა-ცხოვრების კოლექტიური მომსახურეობისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. ნოემბრის 19.

ტფილისი საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
ტირაჟი № 429. დაიბეჭდა 1000.

ტფილისი